საქართველოს სახალხო
დამცველი

ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში

2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი

საქართველოს
სახალხო დამცველი

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

საქართველოს სახალხო დამცველი

ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში

2017 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი

შინაარსი:

შესავალი **4**

კვლევის მეთოდოლოგია **5**

მეთოდოლოგიური ჩარჩო 6

მეთოდოლოგიური თავისებურებები და კვლევის ლიმიტები 7

კვლევის მეთოდი 8

სტატისტიკური ინფორმაცია: ფემიციდის 9 შემთხვევა 10

სტატისტიკური ინფორმაცია: ფემიციდის მცდელობის 8 შემთხვევა 12

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა მონიტორინგის შედეგები **14**

გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები 15

სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები 18

სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები 20

ძალადობის წინარე ისტორია 23

დასკვნა **25**

რეკომენდაციები: **26**

დანართი 1: 2017 წელს ქალთა მკვლელობების და მკვლელობის მცდელობის ფაქტებთან დაკავშირებით პროკურატურის სტატისტიკა **28**

დანართი 2: განხილულ საქმეთა დეტალური ანალიზი **29**

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების, ფემიციდის მაღალი რიცხვი.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ინსტიტუციური და საკანონმდებლო მოწესრიგებიდან, აღსანიშნავია 2017 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება; ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა, რომელსაც ოჯახში, ქალთა მიმართ ძალადობის და დისკრიმინაციული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგის განხორციელება დაევალა[1].

2017 წელსვე შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის თანახმადაც გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება იქნება მთელ რიგ დანაშაულებთან მიმართებით[2]. ამ დროისთვის საკანონმდებლო პაკეტი განხილვის პროცესშია და სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

2016 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორინგის მიზანია გააანალიზოს ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების, მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის თითოეული საქმე, რათა გამოვლინდეს ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის მექანიზმის ხარვეზები შემდგომში ამ მექანიზმების დახვეწისა და განვითარებისთვის.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ანგარიშს ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში. ანგარიშში გაანალიზებული დანაშაულები ჩადენილია 2017 წელს. ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

---

[1] შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულება: https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti?sub=11451

[2] მკვლელობა (მუხლი 109), თვითმკვლელობამდე მიყვანა (მუხლი 115), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლი 118). ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლს დამამძიმებელ გარემოებად ემატება მკვლელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, ხოლო სსკ-ის 117-ე მუხლს დამამძიმებელ გარემოებად ასევე ემატება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, რაც ასევე დამამძიმებელი გარემოება იქნება 118-ე მუხლისთვისაც.

კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური ჩარჩო

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც, ასევე გამოყენებულ იქნა წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას სახალხო დამცველის აპარატმა შექმნა.[3]

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლა-თინოამერიკულ სამოდელო ოქმზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას:

> *„ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით. ასევე ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით“.*

მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშ-ნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდის დასა-დგენად აუცილებელია, რომ მკვლელობა ან ქალის გარდაცვალება უკავშირდებოდეს ქალის გენდერულ იდენტობას, კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლე-ლობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრი-მინაციასთან.[4]

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლე-ვისათვის მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- ✔ მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- ✔ მესაკუთრული დამოკიდებულება;
- ✔ ქცევის კონტროლი;
- ✔ სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.

[3]„ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები“ 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.
[4]Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“. შემდგომში ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

მსხვერპლისანდაზარალებულისმიერმოცემულიგენდერულიიდენტობისადმიმიკუთვნებული სტერეოტიპული ქცევისადმი დაუმორჩილებლობა და აღნიშნულის წინააღმდეგ წასვლა იდენტიფიცირებულ იქნა როგორც დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზი/მოტივი.

მეთოდოლოგიური თავისებურებები და კვლევის ლიმიტები

ფემიციდის საქმეთა მონიტორინგი განხორციელდა სამ ეტაპად. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას კვლევის პროცესში გამოკვეთილ მეთოდოლოგიურ თავისებურებებს, რომლებმაც გავლენა იქონია კვლევის მეთოდოლოგიასა და შედეგზე.

კვლევის პირველი ეტაპი გულისხმობდა ფემიციდთან დაკავშირებით სტატისტიკური ინ-ფორმაციის, სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ დადგენილებებს და განაჩენების გამოთხოვას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პროკურატურიდან და საერთო სასამარ-თლოებიდან.

ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის საქმეების დაკვალიფიცირება. კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გა-რემოებაში (სსკ მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ 117.2), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ მუხლი 115), სსკ-ის 19, 108ე და 19, 109ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა).

დამატებით გამოვითხოვეთ სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები სისხლის სამართლის იმ მუხლებთან დაკავშირებით, სადაც შესაძლებელია ასევე გამოკვეთილიყო ფემიციდი. კერძოდ, ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია მისი სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 138.3.ბ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ 133^1.3), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ 133^2.3), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 143^1.4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 144^1.3.გ).[5]

მუხლების ჩამონათვალს, ასევე დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 118.2 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, სადაც, შეიძლება, ასევე გამოიკვეთოს ფემიციდი.

[5]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 მაისის წერილის (N3-220-18) თანახმად, საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში 2017 წელს აღნიშნული მუხლებით არც ერთი საქმე არ განხილულა.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე პრობლემა გამოიკვეთა უწყებების მიერ ფემიციდის შემთხვევებზე სტატისტიკის წარმოებასა და დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით. ამასთან, სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიის არ არსებობის გამო, უწყებების მიერ ქალთა გენდერულ მკვლელობებთან დაკავშირებული სტატისტიკა ხშირად ეწინააღმდეგება ან არ ემთხვევა ერთმანეთს რაც თავის მხრივ, ართულებს უწყებებს შორის კოორდინაციასა და კომპლექსურ მუშაობას.

კვლევის მეორე ეტაპზე მოხდა სასამართლოებიდან მიღებული განაჩენების ანალიზი ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის იდენტიფიცირების მიზნით.

კვლევის მესამე ეტაპზე ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე საქმის მასალები საერთო სასამართლოებიდან გამოვითხოვეთ. თუმცა, სასამართლოების მიერ საქმის მასალების დაგვიანებით მოწოდებამ გაართულა და დროში გაახანგრძლივა საქმეთა ანალიზის ეტაპი.

ზემოთხსენებული თავისებურებების გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიში არ ასახავს რაოდენობრივი კვლევის შედეგებს და შესაბამისად, სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც მოყვანილია კვლევაში მხოლოდ სასამართლოებიდან გამოთხოვილი და მოწოდებული საქმის მასალებიდან მიღებული ინფორმაციაა და არ უნდა იქნას აღქმული, როგორც 2017 წელს მომხდარი ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტების ზუსტი სტატისტიკა.

კვლევის მეთოდი

ფემიციდის საქმეების მონიტორინგის მიზნით, 2018 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და საერთო სასამართლოებიდან.

კვლევის მიზნებისთვის, სახალხო დამცველმა პროკურატურიდან გამოითხოვა 2017 წელს ფემიციდის საქმეებზე სისხლის სამართლის გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებები, რომლებიც გაანალიზდა კვლევის ფარგლებში. პროკურატურამ სახალხო დამცველს მიაწოდა 11 დადგენილება/განჩინება სისხლის სამართლის გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის შესახებ.[6] აღნიშნული 9 საქმიდან 5 განჩინება შეეხებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას შეურაცხადობის გამო, 1 დადგენილება გამოძიების შეწყვეტას შეურაცხადობის გამო. 1 დადგენილება ეხებოდა გამოძიების შეწყვეტას

[6]აქედან 2 საქმეზე მოგვეწოდა როგორც გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, ისე დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინება, დანარჩენ 7 შემთხვევაში მოგვეწოდა მხოლოდ დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინება ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება.

დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, 2 დადგენილება გამოძიების შეწყვეტას - ბრალ-დებულის გარდაცვალების გამო. დადგენილებების ანალიზიდან ირკვევა, რომ ხშირია გამოძიებისა და სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტა ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც ნიშანდობლივია ფემიციდის დანა-შაულებისთვის. შეწყვეტის დადგენილებების ანალიზის შედეგად პრობლემები არ გამო-კვეთილა. სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების შეწყვეტა კანონის დაცვით განხორციელდა.

ყველა პირველი ინსტანციის, აგრეთვე ქუთაისის და თბილისის სააპელაციო და უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა 2017 წელს ჩადენილი ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ასლები.

სულ საერთო სასამართლოებიდან სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო 37 განაჩენი.[7] მათი გაცნობის შემდგომ საქმის მასალების გამოთხოვა გადაწყდა მხოლოდ 18 საქმეზე, რადგან 13 განაჩენის შემთხვევაში დანაშაული არ იყო მომხდარი 2017 წელს, 3 შემთხვევაში არ იკვეთებოდა დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი, 1 საქმე კი ეხებოდა ოჯახში ძალადობას და არ წარმოადგენდა ფემიციდის შემთხვევას. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, კვლევისთვის მხოლოდ 17 შეირჩა.[8] კერძოდ, ქალის მკვლელობის 9 და ქალის მკვლელობის მცდელობის 8 შემთხვევა.[9]

ქალის მკვლელობის საქმეებზე გაანალიზებული 9 განაჩენიდან 4 განაჩენი გამოიტანა თბილისის საქალაქო სასამართლომ, 1 განაჩენი - ახალციხის რაიონულმა სასამართლომ, 1 განაჩენი - თელავის რაიონულმა სასამართლომ, 1 განაჩენი - რუსთავის საქალაქო სასამართლომ, 1 განაჩენი - ქუთაისის რაიონულმა სასამართლომ, 1 განაჩენი - მცხეთის რაიონულმა სასამართლომ.

ქალის მკვლელობის მცდელობის საქმეებზე გაანალიზებული 8 განაჩენიდან 2 განაჩენი გამოიტანა თბილისის საქალაქო სასამართლომ, 1 განაჩენი - ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ, 1 განაჩენი - გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ, 1 განაჩენი - თელავის რაიონულმა სასამართლომ, 1 განაჩენი - მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, 1 განაჩენი

[7]2 საქმეზე განაჩენი მოგვეწოდა 2-ჯერ, რადგან განაჩენი გამოგვიგზავნა როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ. ასევე აღნიშნული 37 საქმიდან 1 საქმეზე მოგვეწოდა განჩინება დევნის შეწყვეტის შესახებ.

[8]აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სასამართლოები არ ახორციელებენ ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის, ასევე განაჩენების სტატისტიკურ აღრიცხვას, ამასთან მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება დიდ დროსა და სასამართლოს რესურს მოითხოვდა, ინფორმაციის მიღება სასამართლოების მხრიდან რთული პროცესი იყო. შედეგად, აღნიშნული მეთოდით გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზისას, კვლევას არ აქვს პრეტენზია სტატისტიკურ სიზუსტეზე და იგი აანალიზებს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელთა შესახებაც მოხდა სასამართლოების მიერ განაჩენისა და საქმის მასალების მოწოდება.

[9]ერთ საქმეზე ბრალდებულის მიმართ დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო. შესაბამისად აღნიშნული საქმე გაანალიზდა სისხლის სამართლის გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის საქმეებთან ერთად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და 1 განაჩენი ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ. თითოეულ შემთხვევაში დანაშაული მომხდარია 2017 წელს.

კვლევამ აჩვენა, რომ სურათი ოჯახში ძალადობის კუთხით არ შეცლილა. 2016 წლისგან განსხვავებით (ორი შემთხვევა იყო ქალის მიმართ (არა ოჯახში) ძალადობის შედეგი),[10] 2017 წელს მომხდარი ფემიციდის ყველა შემთხვევა ოჯახში ძალადობის პირდაპირი შედეგი იყო.

სტატისტიკური ინფორმაცია: ფემიციდის 9 შემთხვევა

დანაშაულის ჩამდენი პირი:

- ✔ მეუღლე - 5 შემთხვევა
- ✔ პარტნიორი - 1 შემთხვევა
- ✔ ყოფილი მეუღლე - 1 შემთხვევა
- ✔ ოჯახის წევრი - 1 შემთხვევა
- ✔ პარტნიორის შვილი - 1 შემთხვევა

მოტივი:

- ✔ დანაშაულის მოტივი სასამართლომ მხოლოდ 7 საქმეში გამოყო:
- ✔ სიტყვიერი შელაპარაკების ნიადაგზე შურისძიების მოტივი - 1 საქმე
- ✔ ეჭვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივი - 3 საქმე
- ✔ ეჭვიანობის ნიადაგზე - 1 საქმე
- ✔ განაწყენების ნიადაგზე ეჭვიანობის მოტივი - 1 საქმე
- ✔ შურისძიება - 1 საქმე

დანაშაულის ჩადენის ადგილი:

- ✔ მსხვერპლის და მოძალადის საცხოვრებელი სახლი - 3 შემთხვევაში
- ✔ მოძალადის საცხოვრებელი სახლი - 2 შემთხვევაში
- ✔ მოძალადის მშობლების სახლი - 1 შემთხვევაში
- ✔ საჯარო სივრცე (ქუჩა, სარიტუალო დარბაზი და სხვა) 3 შემთხვევაში

დანაშაულის იარაღი:

- ✔ დანა - 3
- ✔ სანადირო თოფი - 2
- ✔ ბენზინის საშუალებით სხეულზე ცეცხლის წაკიდება - 1;
- ✔ ზონარი - 1
- ✔ ელექტროსადენი - 1
- ✔ ცემა - 1

[10] „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები“ 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.

დანაშაულის კვალიფიკაცია

5 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა ოჯახის წევრის მკვლელობად (სსკ-ის 11^1-108 მუხლი. მათ შორის 1 საქმე დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108, 126^1.1 11^1-151 მუხლებით და 1 საქმე - სსკ-ის 11^1, 108ე, 126.1-ე და 19-109-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით);

1 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გარდაცვალება გამოიწვია (სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117–8 მუხლი);

1 შემთხევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა, როგორც ოჯახის წევრის თვითმკვლელობამდე მიყვანა (11^1-115-ე მუხლი);

1 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობად განსაკუთრებული სისასტიკით (11^1-109-3,ბ მუხლი);

1 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა განზრახ მკვლელობად უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

სასჯელი: სასამართლომ ცხრავე საქმე არსებითად განიხილა. ფემიციდისთვის რეალური სასჯელის მინიმალური სახე და ზომა იყო 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ხოლო მაქსიმალური 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განათლება და დასაქმება: ფემიციდის 9 საქმიდან 5 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადეს აქვს საშუალო განათლება, 2 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადეს აქვს ტექნიკური განათლება, 1 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადე არის განათლების გარეშე, 1 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადეს აქვს უმაღლესი განათლება.

9 საქმიდან 8 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადე არის უმუშევარი, 1 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადე არის დასაქმებული.

ეთნიკური წარმომავლობა: შესწავლილი ფემიციდის საქმეებიდან 1 შემთხვევაში, როგორც ბრალდებული ისე მსხვერპლი იყვნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.

ნასამართლობა: 2 საქმეში (განაჩენში) მოძალადის ნასამართლეობის შესახებ არ არის ინფორმაცია, 7 საქმეში (განაჩენში) მოძალადე არ არის ნასამართლევი.

სტატისტიკური ინფორმაცია: ფემიციდის მცდელობის 8 შემთხვევა

დანაშაულის ჩამდენი პირი:

- ✔ მეუღლე - 4 შემთხვევა
- ✔ ყოფილი მეუღლე - 2 შემთხვევა
- ✔ ოჯახის წევრი - 2 შემთხვევა

მოტივი:

- ✔ დანაშაულის მოტივი სასამართლომ მხოლოდ 5 საქმეში გამოყო:
- ✔ ეჭვიანობის მოტივი - 3 საქმე
- ✔ ურთიერთშელაპარაკება - 1 საქმე
- ✔ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე - 1 საქმე

დანაშაულის ჩადენის ადგილი:

- ✔ საჯარო სივრცე - 1 შემთხვევაში
- ✔ მსხვერპლისა და მოძალადის ერთობლივი საცხოვრებელი სახლის ეზო - 3 შემთხვევაში
- ✔ მსხვერპლის სამსახური - 1 შემთხვევაში
- ✔ მოძალადის მამის სახლი - 1 შემთხვევაში
- ✔ მსხვერპლის და მოძალადის ერთობლივი საცხოვრებელი - 2 შემთხვევაში

დანაშაულის იარაღი:

- ✔ დანა - 5
- ✔ სანადირო თოფი - 1
- ✔ იატაკის საწმენდი ჯოხი - 1
- ✔ სისტემატიური ოჯახში ძალადობა (თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის შემთხვევა) - 1

დანაშაულის კვალიფიკაცია:

- ✔ 1 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა განზრახ მკვლელობის მცდელობად - (სსკ-ის 19-108ე მუხლი);
- ✔ 2 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობად (სსკ-ის 11^1-19-108-ე მუხლი. მათ შორის 1 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1–19–108ე და 236.2-ე მუხლით);
- ✔ 2 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის მცდელობად (სსკ-ის 11^1-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით);
- ✔ 1 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა მკვლელობის მცდელობად უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-11-ე მუხლი);
- ✔ 1 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის (სსკ-ის 126^1-2, ბ და ე ქვეპუნქტი და 11^1–117-1 მუხლი);

- ✔ 1 შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახში ძალადობა არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) და 11^1-115-ე მუხლებით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა).

სასჯელი: სასამართლომ ყველა საქმე არსებითად განიხილა, შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება არცერთ საქმეზე არ ყოფილა გაფორმებული. ფემიციდის მცდელობისთვის რეალური სასჯელის მინიმალური სახე და ზომა იყო 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მაქსიმალური 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განათლება და დასაქმება: ფემიციდის მცდელობის 8 საქმიდან 4 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადეს აქვს საშუალო განათლება, 2 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადეს აქვს არასრული საშუალო განათლება, 2 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადეს აქვს უმაღლესი განათლება. 8 საქმიდან 6 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადე იყო უმუშევარი, 2 საქმეში მითითებულია, რომ მოძალადე იყო დასაქმებული.

ნასამართლობა: 5 საქმეში (განაჩენში) მოძალადე არის ნასამართლობის არმქონე; 2 საქმეში (განაჩენში) მოძალადის ნასამართლეობის შესახებ არ არის ინფორმაცია. 1 საქმეში მოძალადე ნასამართლობის მქონეა.

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა მონიტორინგის შედეგები

გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საგამოძიებო ორგანოს როლი, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე დისკრიმინაციული მოტივის შესახებ მტკიცებულებების მოპოვებისა და საქმის სწორად კვალიფიკაციის კუთხით. საკანონმდებლო ჩარჩოს თავისებურებების გათვალისწინებით, მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებები, მისი როლი ამ მხრივ პასიურია და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმებით დასაზუსტებელი კითხვებით შემოიფარგლება, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.[11] ამ პირობებში, ბრალდების მხარის მიერ სათანადო მტკიცებულებების წარუდგენლობა სასამართლოს შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენის შესაძლებლობას ართმევს.

საქმეთა ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ საპროცესო მოქმედებები გამოძიების ეტაპზე ჩატარებული იქნა დროულად, გაჭიანურების გარეშე. დადებითად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გონივრულ ვადაში ხდებოდა მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება. მიუხედავად ამისა, საქმეთა შესწავლისას გამოძიების ეტაპზე გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ საქმეში,[12] პრობლემად გამოვლინდა დაზარალებულად ცნობა. ბრალდებულს, რომელსაც განზრახული ჰქონდა მეუღლის მოკვლა, ობიექტი შეეშალა და მეუღლის ნაცვლად დანა ჩაარტყა სხვა ქალს, რომელმაც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო. პროკურატურამ დაზარალებულად ცნო მხოლოდ ის ქალი, რომელსაც მოძალადემ ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა, ხოლო ბრალდებულის მეუღლეს, რომლის მოკვლაც მოძალადეს ჰქონდა განზრახული და რომელსაც, სავარაუდოდ, მიადგა მორალური ზიანი, დაზარალებულის სტატუსი არ მიენიჭა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კითხვები იმის დასადგენად, თუ რა ზიანი განიცადა ბრალდებულის მეუღლემ, არც გამოძიების და არც სასამართლოს ეტაპზე არ დასმულა. ამასთან, დაკითხვის წარმოებისას, გამომძიებელი არ იყო მოწადინებული გამოეკვეთა გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაული.

ბრალდებულის მეუღლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება ერთი მხრივ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობისთვის, ხოლო მეორე მხრივ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დაცვის და დახმარების ღონისძიებებით სარგებლობისთვის. მათ შორის, აღსანიშნავია დაზარალებულის უფლება მიიღოს ინფორმაცია მოძალადის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, გაქცევის, პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლით დადგენილი წესით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე

[11]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი.
[12]რუსთავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენი (საქმე N1-283-17).

გასვლის, აგრეთვე პატიმრობის კოდექსის 71[6] მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გასვლის შესახებ.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში[13] კვალიფიკაციის პრობლემა გამოვლინდა. საქმის მასალების მიხედვით, შელაპარაკების ნიადაგზე გ.გ.-მ მეუღლეს სხეულზე შეასხა ბენზინი და ცეცხლი წაუკიდა, რის შედეგადაც მსხვერპლი გარდაიცვალა. პროკურატურამ გ.გ.-ს ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 11[1]-117 – 8-ე მუხლით - ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. სასამართლომ გ.გ.-ს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მიუხედავად ბრალდებულის პოზიციისა, რომ მას მეუღლის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია და მის მიზანს მსხვერპლის დასჯა წარმოადგენდა, საქმის მასალების ანალიზიდან იკვეთება კვალიფიკაციის პრობლემა. არსებული მტკიცებულებების სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ერთობლივი განხილვის შედეგად სახეზეა განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით. სამწუხაროდ, პროკურატურის მხრიდან კვალიფიკაციის შერჩევისას სათანადო ყურადღება არ დაეთმო დანაშაულის ჩადენამდე დამნაშავისა და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულებას, კერძოდ ძალადობის წინარე ისტორიას, ასევე ყურადღების მიღმა დარჩა მკვლელობის იარაღი (ბენზინის შესხმა და ცეცხლის წაკიდება), რომელიც თავისი ბუნებით საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის და განსაკუთრებით მტანჯველია. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ დამნაშავეს მსხვერპლის გადარჩენის მიზნით არაფერი მოუმოქმედებია, რაც ეჭქვეშ აყენებს მის განზრახვას მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანების თაობაზე.

გაანალიზებულ საქმეთაგან ერთ-ერთში პრობლემად გამოვლინდა გამოძიებისას, დაკითხვის ეტაპზე სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება.[14] გამოძიებამ მოწმის სტატუსით დაკითხა მსხვერპლის ე.წ. მეგობარი მამაკაცი, (ვისზეც ბრალდებული ეჭვიანობდა) აღნიშნული პირის მოწმის სტატუსით დაკითხვისას, გამომძიებელი მას უსვამდა გამოძიებასთან შემხებლობის არმქონე კითხვებს („სად ხვდებოდით მსხვერპლს?“, „დღის რა მონაკვეთში ხვდებოდით მსხვერპლს?“, „რამდენჯერ და სად გქონდათ მსხვერპლთან სქესობრივი კავშირი?“, „ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ჰყავდა თუ არა მსხვერპლს თქვენს გარდა სხვა მეგობარი მამაკაცი?“.), რომელიც, ხაზს უსვამს გამოძიების პროცესში გენდერულად არამგრძნობიარე და სტერეოტიპულ მიდგომას და შეურაცხყოფს მსხვერპლის პატივს და ღირსებას.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში[15] პრობლემად გამოვლინდა გამოძიებისა და სასამართლოს მიერ დაზარალებული ქალის მიმართ

[13] თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის განაჩენი, საქმე N1/104-17.

[14]რუსთავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენი (საქმე N1-283-17).

[15]მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N1/240-17.

სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება, თითქოს ბრალდებული აფექტში ჩააგდო მეუღლემ, რადგან მან მამაკაცისთვის მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ბრალდებულს, რამაც შედეგად ქალის მკვლელობის მცდელობა გამოიწვია. გამოძიებისა და სასამართლოს დასაბუთების მთავარ ხაზს წარმოადგენდა ქალის დადანაშაულება ბრალდებულის მიერ მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის პროვოცირებაში. აღნიშნულის შესახებ მითითებულია როგორც ბრალდების დადგენილებაში, ისე მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში[16] ასევე ქალი და-ადანაშაულეს მეუღლის მიერ დანაშაულის ჩადენის პროვოცირებაში. თითქოს ბრალდებული აფექტში ჩააგდო *„მეუღლის ამორალურმა ქცევამ, ღალატმა და ბრალდებულისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტმა“* რამაც შედეგად ქალის მკვლელობა გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელთან შედარებით,[17] 2017 წელს მომატებულია პროკურატურისა და სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მეორე ნაწილის[18] გამოყენება. სასამართლომ და პროკურატურამ იგი 14 საქმეში გამოიყენა. თუმცა, სასამართლოც და პროკურატურაც განაჩენის გამოტანისას ფორმალურად უთითებს მითითებულ მუხლს და თითქმის არ მსჯელობს მუხლის სპეციფიკაზე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.

კვალიფიკაციის პრობლემა გამოვლინდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში.[19] მოძალადის მიერ მეუღლის მკვლელობა პროკურატურამ დააკვალიფიცირა სსკ-ის 111-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა, უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) მტკიცებულებების ანალიზიდან ვლინდება, რომ მას შემდეგ, რაც მოძალადემ გაიგო მეუღლის ღალატის შესახებ, მივიდა სახლში და მსხვერპლი დანით მოკლა. საქმეში არ იკვეთება აფექტის იურიდიული მხარე, კერძოდ, აფექტის შესაფასებლად სამედიცინო ელემენტებთან ერთად აუცილებელია იურიდიული ელემენტების უპირობო არსებობა. მტკიცებულებების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ბრალდებულმა მკვლელობის დღეს პირველად გაიგო მეუღლის ღალატის შესახებ. ინფორმაციის მიღებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ მივიდა სახლში და მსხვერპლი მოკლა (განზრახვა სისრულეში მოიყვანა). შესაბამისად, მოძალადის ქმედება და ემოცია არ იყო უეცრად აღძრული. მოძალადის ქმედებას აკლია იურიდიული ელემენტები, რომელიც სამედიცინო ელემენტებთან ერთად აფექტის შემადგენლობას მოგვცემდა.

---

[16] მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე №1/274-17.

[17] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - ფემიციდის მონიტორინგი, 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი.

[18] სსკ-ის 531 მუხლის მეორე ნაწილი - სასჯელის დამამძიმებელი გარემოება: დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

[19] მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/274-17.

აღნიშნული საქმე საკმაოდ სახიფათო პრეცედენტია, რომელიც სტიმულს აძლევს მოძალადეებს ეჭვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივით ჩაიდინონ მეუღლის (ქალის) მკვლელობა და მათი დანაშაულებრივი ქმედება მსხვერპლის ამორალური ქცევით განპირობებულ აფექტში ჩადენილ დანაშაულად წარმოაჩინონ, რომლისთვისაც სანქციას წარმოადგენს – შინაპატიმრობა ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე. საქმეს ბუნდოვანებას მატებს ისიც, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია.

რაც შეეხება სსკ-ის 531 მუხლის პირველი ნაწილის[20] გამოყენებას, 2017 წლის საქმეების ანალიზიდან გამოვლინდა, რომ პროკურატურას არც ერთ დადგენილებაში არ მიუთითებია აღნიშნული მუხლი, სასამართლომ კი მხოლოდ ერთ საქმეში[21] მიუთითა სსკ-ის 53[1] მუხლის პირველი ნაწილი, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება. 2016 წელს აღნიშნული მუხლის მითითება არც პროკურატურისა და არც სასამართლოს მიერ არ მომხდარა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არც პროკურატურა და არც სასამართლო არ არის ეფექტური დანაშაულის კვალიფიკაციისას გენდერული დისკრიმინაციის ნიშნის გამოკვეთასთან დაკავშირებით.

სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

კვლევის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაანალიზებულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის ყველა საქმეში, დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული/სექსისტური დამოკიდებულება, მესაკუთრული დამოკიდებულება, ქცევის კონტროლი ან/და გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა იკვეთება, ხოლო დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის ცალსახა მიზეზი/მოტივი მსხვერპლის დაუმორჩილებლობა და მოძალადის გენდერულად განპირობებული მოთხოვნის წინააღმდეგ წასვლაა.

დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი იკითხება ბრალდებულის, დაზარალებულისა და სხვა მოწმეთა ჩვენებებში, სადაც ხშირია გენდერულად განსაზღვრული ლექსიკის გამოყენება, კერძოდ: „რძალი სამაგალითოდ ემსახურებოდა ქმარს, ოჯახს და შვილებს“, „მას, როგორც დედას, არ უნდოდა ოჯახის დანგრევა და შვილების უმამოდ გაზრდა, ამიტომ ითმენდა ქმრისგან ძალადობას“, „ცოლად მოვიყვანე“, „სახლიდან ქმრის ნებართვით გადიოდა“, „ქმრიანი ქალი სოციალურ ქსელში სხვას არ უნდა ათვალიერებდეს“, „სოფელში

[20]სსკ-ის 53[1] მუხლის პირველი ნაწილი - სასჯელის დამამძიმებელი გარემოება: დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.
[21]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმე N1/4437-17.

სამაგალითო რძალი იყო“, „ქმარს შვილებს უზრდიდა“, „ცოლი ცოცხალი უნდა დაეტოვებინა, რადგან ქალი ვალდებული იყო ბავშვებისთვის მიეხედა“, ხოლო ბრალდებულთა ჩვენებებში იკვეთება, რომ ისინი ძალადობრივი ფაქტის ჩადენისას გამოდიან „ოჯახის უფროსის“, ქმრის, როგორც ცოლის მესაკუთრის პოზიციიდან („ჩემი ცოლი ჩემს პრინციპზე, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ თამაშობდა“, „სახლიდან ჩემს დაუკითხავად გავიდა“ „ჩემი ცოლის ცეკვა მაღიზიანებდა, მაგრამ არ დამემორჩილა და არ გაჩერდა“, „ჩემი, როგორც მისი ქმრის მიზანი იყო ჩემი ცოლის სამაგალითოდ დასჯა“, „მამამთილი ეუბნებოდა თავის რძალს, რომ მეზობლებთან არ გასულიყო, მაგრამ არ უჯერებდა“).

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში[22] კვალიფიკაციის აშკარა პრობლემა გამოვლინდა. აღნიშნულ საქმეში ი.ტ. შეეცადა დანის გამოყენებით მეუღლის მკვლელობას განსაკუთრებული სისასტიკით, მისი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით. 2018 წლის 18 იანვარს, განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ტ.-ს ქმედება სსკ-ის 11[1]-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით გადააკვალიფიცირა სსკ-ის 11[1]-19-108-ე მუხლზე - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა და დამნაშავედ ცნო სსკ-ის 11[1]-19-108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მკვლელობის მცდელობა არ იყო ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, რადგან საეჭვოდ მიიჩნია 3 წლის ბავშვის (თ.ტ.) მიერ თავად ფაქტის აღქმისა და გაცნობიერების შესაძლებლობა. ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული სისასტიკით მაკვალიფიცირებელი ნიშნის არსებობისთვის აუცილებელია, რომ თავად ბრალდებულმა იცოდეს შემთხვევის ადგილზე ახლობლის არსებობა, ასევე, უნდა იკვეთებოდეს ბრალდებულის გულგრილი დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ.

საქმის მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დანაშაული არასწორად დააკვალიფიცირა და უგულებელყო რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებულ სისასტიკეზე მიანიშნებდა. სასამართლომ უგულებელყო დამნაშავის ქცევა, ბავშვის შემთხვევის ადგილზე არსებობა, მის მიერ ფაქტის აღქმისა და გაცნობიერების, მის მიერ დანახულის გამო რეაქცია, ბრალდებულის გულგრილი დამოკიდებულება ბავშვის შემთხვევის ადგილზე ყოფნისადმი, დამნაშავის მიმალვა, დანაშაულის ფაქტამდე ბრალდებულის მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტები. შედეგად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[23] განაჩენი სასჯელის ნაწილში დაუსაბუთებელია.

[22]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განაჩენი, საქმე N1/2172-17.

[23] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენი, საქმე N1-283-17.

სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში[24] ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არაპროპორციული სახის შეფარდება დაფიქსირდა.

სასამართლომ ოჯახში ძალადობისთვის ორჯერ ნასამართლევ პირს რომელმაც, არასრულწლოვანი ოჯახის წევრის თანდასწრებით იძალადა სიდედრზე და ცოლისდაზე (მათ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა), აღკვეთის ღონისძიების სახით 4000 ლარის ოდენობის გირაო დააკისრა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ იყო არაპროპორციული და მსუბუქი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და წარსულში ჩადენილი დანაშაულების გათვალისწინებით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში[25] ბრალდებულმა აფექტის მდგომარეობაში განზრახ უმძიმესი, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა მეუღლეს.[26] მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახით შეუფარდა მხოლოდ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას უგულებელყო ის ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა ოჯახის წევრის მიმართ, რაც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს. სსკ-ის 111-ე მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წლიდან 3 წლამდე, თუმცა სასამართლომ დაუსაბუთებლად, მითითებული მუხლის თავისუფლების აღკვეთის სახის მინიმუმი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა.

ასევე, მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[27] ბრალდებულმა აფექტის მდგომარეობაში განზრახ უმძიმესი, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა მეუღლეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახით შეუფარდა მხოლოდ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას უგულებელყო ის ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა ოჯახის წევრის მიმართ, რაც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.

---

[24] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის განაჩენი, საქმე N1/516-17.

[25] მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N1/240-17.

[26] ექპერტიზის დასკვნის თანახმად, ნ.ი.-ს დაუდგინდა ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა, მარცხნივ თხემ-საფეთქლის ძვლის იმპრესიულ-ფრაგმენტული მოტეხილობა, მარჯვნივ საფეთქლის ძვლის იმპრესიული მოტეხილობა, პნევმოცეფალია, ჰემატომა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, ქალა-ფუძის მოტეხილობა. დაზიანებები განეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს.

[27] მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/274-17.

საქმეთა უმრავლესობაში (მხოლოდ ერთი საქმეა გამონაკლისი)[28] არც პროკურატურის ორგანოს და არც სასამართლოს არ გაუმახვილებია ყურადღება დისკრიმინაციულ მოტივზე. რიგ საქმეებში დანაშაულის ჩადენის მოტივი დასახელებული არ არის, რიგ საქმეებში კი დანაშაულის ჩადენის მიზეზად მითითებულია ურთიერთშელაპარაკება, შურისძიება, განაწყენება, ეჭვიანობა და შურისძიება ეჭვიანობის ნიადაგზე. შესაბამისად, ამ თავში განხილულია ის საქმეები, სადაც ხარვეზები გამოვლინდა ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის იდენტიფიცირებისა და სახელდების დონეზე. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენების უმრავლესობაში (მხოლოდ 1 საქმეა გამონაკლისი) დისკრიმინაციული მოტივი დადგენილი არ არის, შესაბამისად, აღნიშნული არც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა მითითებული.

სასამართლომ 14 საქმეში გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 531 მუხლის მეორე ნაწილი,[29] რაც ოჯახურ დანაშაულებთან მიმართებით სასამართლოს სენსიტიურ მიდგომაზე მიუთითებს. თუმცა, სასამართლო და პროკურატურა განაჩენის გამოტანისას ფორმალურად ეყრდნობა მითითებულ მუხლს და თითქმის არ მსჯელობს მუხლის სპეციფიკაზე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.

გაანალიზებული საქმეებიდან, რიგ შემთხვევებში სასამართლო უთითებდა, რომ საქმეში არ არსებობდა დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებები, ხოლო რიგ საქმეებში აღნიშნული გამოყო:

- ✔ რამდენიმე შემთხვევაში, სასამართლო დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ნასამართლობას, ჩადენილი ქმედებების ხასიათს (მოძალადემ ჩაიდინა ოჯახური დანაშაული), წარსულ ცხოვრებას. 4 საქმეში[30] სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ. ერთ საქმეში[31] დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით.

- ✔ რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებს, განაჩენებში დასახელებულია, რომ დამნაშავემ აღიარა და მოინანია დანაშაული, მხედველობაშია მიღებული დამნაშავის ასაკი, ითანამშრომლა გამოძიებასთან და გადასცა მას დანაშაულის იარაღი, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას, ბრალდებული თავად გამოცხადდა პოლიციის შენობაში და აღიარა დანაშაული, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ გამოხატული ქცევა,

[28] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმე N1/4437-17; განაჩენის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დანაშაული ჩადენილია გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით.

[29] სსკ-ის 531 მუხლის მეორე ნაწილი - სასჯელის დამამძიმებელი გარემოება: დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

[30] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 აგვისტოს განაჩენი, საქმე 1/2574-17; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განაჩენი, საქმე #1/2172-17; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმე N1/4437-17; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, საქმე№1/274-17.

[31]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმე N1/4437-17.

ბრალდებული არის მრავალშვილიანი, მათ შორის ერთი შვილი არის არასრულწლოვანი, დაზარალებულის უფლებამონაცვლეს ბრალდებულის მიმართ არ გააჩნია პრეტენზია, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

გაანალიზებული განაჩენებიდან არცერთ შემთხვევაში ოჯახში ძალადობის წინა ისტორია სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული არ ყოფილა.

განხილული საქმეებიდან 4 საქმეში[32] იმსჯელა სასამართლომ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 531 მეორე ნაწილზე,[33] რა დროსაც დაადგინა, რომ ოთხივე საქმეში სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ და რომ დანაშაულებრივი ქმედება მისი მასშტაბების გათვალისწინებით მომეტებული საშიშროების მატარებელია.

განხილული საქმეებიდან მხოლოდ ერთ საქმეში[34] იმსჯელა სასამართლომ სსკ-ის 531 პირველ ნაწილზე, რა დროსაც დაადგინა, რომ საქმეში სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით.[35] ზემოაღნიშნულ ერთ საქმეში მსჯელობისას სასამართლომ ძირითად მოტივად მიუთითა ეჭვიანობა, თუმცა, ასევე, დაადგინა, რომ დანაშაული ჩადენილი იყო გენდერული დისკრიმინაციის მოტივით. შესაძლებელია ითქვას, რომ სახელდების პრობლემა არ წყდება მაშინაც კი, თუ მოსამართლე უთითებს მოტივის შესახებ შესაბამის მუხლს, რადგან „ფემიციდად“ და „გენდერული ნიშნით ჩადენილ მკვლელობად“ საქმის იდენტიფიცირება როგორც წესი, არ ხდება.

ერთ საქმეში36 მოსამართლემ დაცვის მხარეს შენიშვნა მისცა, როდესაც დაცვის მხარე შეეცადა განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოეჩინა ცოლ-ქმრული ღალატის შესაძლო ფაქტების არსებობა და მიუთითებდა გარკვეული პირების დაკითხვის აუცილებლობაზე,

[32]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განაჩენი, საქმე #1/2172-17; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმე N1/4437-17; 2017 წლის 14 აგვისტოს განაჩენი საქმე 1/2574-17; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/274-17.

[33] სსკ-ის 531 მუხლის მეორე ნაწილი - სასჯელის დამამძიმებელი გარემოება: დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

[34]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმე N1/4437-17.

[35]სსკ-ის 531 მუხლის პირველი ნაწილი - სასჯელის დამამძიმებელი გარემოება: დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

[36]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმე N1/4437-17.

რომლებსაც რეალურად შემხებლობა არ ჰქონიათ დანაშაულებრივ ფაქტთან, არც შესწრებიან მას და არც რაიმე ინფორმაციას ფლობენ მის გარშემო“. დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

თუმცა, იკვეთება საპირისპირო პრაქტიკაც; კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში[37] ბრალდებულის ადვოკატი შეეცადა განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოეჩინა ცოლ-ქმრული ღალატის შესაძლო ფაქტი და მან მსხვერპლის ქმედებები ამორალურად შეაფასა. სასამართლოს ადვოკატის არაეთიკურ საქციელზე რეაგირება არ ჰქონია.

რაც შეეხება სასჯელის განსაზღვრას, მართალია, ერთ-ერთ საქმეში მსჯავრდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის (თავისუფლების აღკვეთა თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო) ფარგლებში მაღალი სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით) დაენიშნა, მოსამართლემ საერთოდ არ იმსჯელა სსკ-ის 531 მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის დამამძიმებელ გარემოებაზე – დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. განაჩენში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულს შემამსუბუქებელი გარემოება არ გააჩნია, ხოლო დამამძიმებელი გარემოებაა ნასამართლობა.[38]

რამდენიმე საქმეში პროკურორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა კონკრეტული სასჯელის სახის და ზომის გამოყენება, რაც დარღვევას წარმოადგენს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი არ არის უფლებამოსილი იშუამდგომლოს კონკრეტული სასჯელის სახის და ზომის გამოყენება. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა, რაზეც სასამართლომ არ იმსჯელა.

ძალადობის წინარე ისტორია

საქმის მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 17 საქმიდან 15 საქმეში მითითებულია მსხვერპლის მიმართ ძალადობის წინარე ისტორიის შესახებ, აქედან 5 შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ოჯახში არსებული შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ,[39] თუმცა, სასჯელის განსაზღვრისას, სასამართლომ არ მიიღო აღნიშნული მხედველობაში (გამონაკლისია ერთი საქმე).

ძალადობის წინარე ისტორია უმრავლეს შემთხვევაში იკითხება თავად დაზარალებულის, ბრალდებულის ან სხვა მოწმეთა ჩვენებებიდან. აღსანიშნავია, რომ არც ერთ საქმეში (გამონაკლისია ერთი საქმე)[40] გამოძიების ორგანოს არ მოუპოვებია დამატებითი მტკიცებულებები

[37]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 აგვისტოს განაჩენი, საქმე 1/2574-17.
[38]ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განაჩენი, საქმე N1/169-17წ.
[39]კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შეტყობინებების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი N2.
[40]ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განაჩენი, საქმე N1/169-17წ.

იმასთან დაკავშირებით, მიმართული ჰქონდა თუ არა მსხვერპლს ან სხვა პირს ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, რა ღონისძიებები გაატარეს სამართალდამცავმა უწყებებმა და რატომ ვერ მოხდა ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის თავიდან აცილება. რაც შეეხება სასამართლოს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოწმეთა ჩვენებებიდან ნათლად იკვეთება ძალადობის დისკრიმინაციული მოტივი, იგი დისკრიმინაციულ მოტივზე სასჯელის განსაზღვრისას მსჯელობას ხსენებულ საქმეებთან დაკავშირებით არ ავითარებს (მხოლოდ ერთი საქმეა გამონაკლისი).[41]

ხსენებულ საქმეებზე (გამონაკლისია ერთი საქმე) ძალადობის წინა ისტორია, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს სისტემატიურ და განგრძობით ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას, არც მოტივის გამოკვლევისას ყოფილა გათვალისწინებული და არც სასამართლოს მიუღია მხედველობაში, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

[41]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმე N1/4437-17.

დასკვნა

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზმა გამოკვეთა, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ფემიციდთან, როგორც ქალის მიმართ ძალადობის ყველაზე სასტიკ ფორმასთან ბრძოლის მიმართულებით კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქმეთა მასალების ანალიზის შედეგად, გამოძიებისა და სასამართლო ეტაპზე გამოვლენილი ისეთი ხარვეზები, როგორიცაა კვალიფიკაციისა და სახელდების პრობლემა, უწყებების მიერ გენდერულად არამგრძნობიარე ენის გამოყენება, დაზარალებულად ცნობის პრობლემა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ძალადობის მსხვერპლის მიერ დაცვისა და დახმარების სერვისებით სარგებლობასთან.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა განხილული საქმე „ფემიციდის კლასიკურ“ მაგალითს წარმოადგენს, რასაც წინ უსწრებდა ოჯახში ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა უმრავლესობაში მსხვერპლს მიმართული ჰქონდა სამართალდამცავი უწყებებისადმი, მსხვერპლის დაცვა და ძალადობის უკიდურესი ფორმის პრევენცია არ განხორციელდა.

რაც შეეხება ძალადობის წინარე ისტორიას, სამწუხაროდ, აღნიშნული ამ ეტაპზე არ წარმოადგენს სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოების ყურადღების საგანს. 2016 წლის მსგავსად, 2017 წელს მომხდარ ფემიციდებთან მიმართებაშიც, საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, გამოძიების ორგანოს არ მოუპოვებია დამატებითი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, მიმართული ჰქონდა თუ არა მსხვერპლს ან სხვა პირს ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, რა ღონისძიებები გაატარეს სამართალდამცავმა უწყებებმა და რატომ ვერ მოხდა ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის თავიდან აცილება.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას:

- ✔ შემუშავდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგია და სახელმწიფო უწყებებმა უზრუნველყონ მისი ეფექტური აღსრულება
- ✔ გაანალიზდეს ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემის ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლის შედეგიც არის ფემიციდის მაღალი რიცხვი საქართველოში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ✔ მოხდეს გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის გაწერა და ეფექტიანი აღსრულება
- ✔ გაანალიზდეს სსიპ 112-ის სამსახურში შესაძლო ოჯახში ძალადობის და ოჯახური კონ-ფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებები
- ✔ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველ-

ყოფილ იქნას თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, ამასთან, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც უზრუნველყოფს გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას

- ✔ დაიხვეწოს დაზარალებულთა/მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალადობის რისკის შეფასების მეთოდოლოგიისა და საქმეთა მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპების არსებობა სამართალდამცავი უწყებებისთვის

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარ პროკურატურას:

- ✔ განხორციელდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ასევე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება
- ✔ განხორციელდეს გენდერული ძალადობის საქმეებზე არსებული შეტყობინებების ერთობლიობაში განხილვა, რადგან სპორადულად ძალადობის კონკრეტულ ინციდენტთან ბრძოლა არ იძლევა სასურველ შედეგს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კუთხით
- ✔ ძალადობის თითოეული საქმის ანალიზისას მხედველობაში იქნას მიღებული ქვეყანაში არსებული მდგომარეობა გენდერული თანასწორობის კუთხით და ყოველ ჯერზე ზოგად სურათთან კავშირში მოხდეს გენდერული ძალადობის რისკის შეფასება

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- ✔ განხორციელდეს ძალადობის წინარე ისტორიის მასალების მოძიება და მხედველობაში მიღება, ასევე, დისკრიმინაციული მოტივის დასადგენად სათანადო მტკიცებულებების მოძიება

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- ✔ განხორციელდეს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა იდენტიფიცირების მეთოდის შემუშავება და ზუსტი სტატისტიკის წარმოება
- ✔ სასამართლო ეტაპზე, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებში გამოიყოს გენდერული მოტივი. მნიშვნელოვანია, სასამართლომ განავითაროს მსჯელობა გენდერულ მოტივთან დაკავშირებით და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მუხლის მითითებით
- ✔ შემამსუბუქებელი გარემოებების მითითებისას, მოძალადის პიროვნების შეფასებისას სასამართლომ გაითვალისწინოს დანაშაულის სპეციფიკა
- ✔ იმ საქმეებში, სადაც იკვეთება გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული, დამამძიმებელ გარემოებად მიეთითოს დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

- ✔ განხორციელდეს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა იდენტიფიცირების მეთოდის შემუშავება და ზუსტი სტატისტიკის წარმოება.

დანართი 1: 2017 წელს ქალთა მკვლელობების და მკვლელობის მცდელობის ფაქტებთან დაკავშირებით პროკურატურის სტატისტიკა[42]

საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით, 2017 წელს 26 ქალის მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 14 ჩადენილი იყო ოჯახის წევრის მიერ, ხოლო 12 სხვა პირობებში.

15 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქალის მკვლელობის მცდელობას, საიდანაც 12 შემთხვევა მოხდა ოჯახური დანაშაულის ნიშნით, 3 საქმეში კი სხვა მოტივი გამოიკვეთა.

ასევე, დაფიქსირდა ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი ქალთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 5 ფაქტი.

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მომხდარი ქალთა მკვლელობის 14 შემთხვევიდან (დაზარალებულია 14 ქალი) 9 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 108-ე მუხლით,[43] 3 საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 109-ე მუხლით[44] და 2 საქმეზე სსკ-ის11^1 117-ე მუხლით.[45] ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობის 14 ფაქტიდან 10 წარიმართა სასამართლოში. აქედან 10 ფაქტზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი; 3 ფაქტზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო 1 ფაქტზე შეწყდა გამოძიება.

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მომხდარი ქალთა მკვლელობის მცდელობის 12 შემთხვევიდან (დაზარალებულია 12 ქალი), 4 საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 19, 108-ე მუხლით,[46] 8 საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 19, 109-ე მუხლით.[47]

ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობის მცდელობის 12 ფაქტიდან 9 წარიმართა სასამართლოში. აქედან 6 ფაქტზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, 3 ფაქტზე მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა; 1 ფაქტზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო 2 ფაქტზე შეწყდა გამოძიება.

---

[42]საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 8 თებერვლის და 29 ივნისის წერილები: N13/10053, N 13/49027.
[43]11^1 108-ე მუხლი - მკვლელობა ოჯახის წევრის მიერ.
[44] 11^1 109-ე მუხლი - დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობა ოჯახის წევრის მიერ.
[45] 11^1 117-ე მუხლი - ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.
[46]11^1 19, 108-ე მუხლი – მკვლელობის მცდელობა ოჯახის წევრის მიერ.
[47]11^1 19, 109-ე მუხლი – დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობა ოჯახის წევრის მიერ.

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მომხდარი ქალთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 5 შემთხვევიდან 2 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, ხოლო 3 შემთხვევაში თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე (სსკ-ის 11[1]-115-ე მუხლი). ხსენებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ. 5 საქმე წარიმართა სასამართლოში, აქედან 3 ფაქტზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 2 ფაქტზე მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

ქალთა მკვლელობის იმ 12 შემთხვევიდან, რომელიც არ დაიდენტიფიცირდა როგორც ოჯახში ძალადობის პირობებში ჩადენილი დანაშაული, გამოძიება დაიწყო 10 სისხლის სამართლის საქმეზე (დაზარალებულია 12 ქალი). მათგან 5 სისხლის სამართლის საქმეზე (დაზარალებულია 5 ქალი) გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით[48] და 5 სისხლის სამართლის საქმეზე (დაზარალებულია7 ქალი) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით.[49] ქალთა მკვლელობის 12 ფაქტიდან 7 წარიმართა სასამართლოში. აქედან 5 ფაქტზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, 2 ფაქტზე მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა; 2 ფაქტზე შეწყდა გამოძიება; 3 ფაქტზე გამოძიება გრძელდება.

ქალთა მკვლელობის მცდელობის იმ 3 შემთხვევიდან, რომელიც არ დაიდენტიფიცირდა როგორც ოჯახში ძალადობის პირობებში ჩადენილი დანაშაული, გამოძიება დაიწყო 2 სისხლის სამართლის საქმეზე (დაზარალებულია 3 ქალი), საიდანაც 1 საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით[50] (დაზარალებული ქალების რაოდენობა -1) და 1 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 109-ე მუხლით[51] (დაზარალებული ქალების რაოდენობა - 2). ქალთა მკვლელობის მცდელობის 3 ფაქტიდან 1 წარიმართა სასამართლოში და დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. 2 ფაქტზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

დანართი 2: განხილულ საქმეთა დეტალური ანალიზი

1. გ.გ.-ს საქმე (თელავის რაიონული სასამართლო საქმე N1/104-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 16 იანვრის ბრალდების დადგენილების თანახმად, გ.გ.-ს, თავდაპირველად ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-117–7 მუხლით, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის და ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ.გ.-მ მეუღლეს სხეულზე შეასხა ბენზინი და ცეცხლი წაუკიდა,

[48] 108-ე მუხლი – მკვლელობა.
[49] 109-ე მუხლი – მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში.
[50] 19, 108-ე მუხლი – მკვლელობის მცდელობა.
[51] 19, 109-ე მუხლი – მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში.

რის შედეგადაც მსხვერპლმა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.
2017 წლის 27 იანვარს მსხვერპლი სხეულზე მიღებული თერმული დამწვრობის შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა. მსხვერპლის გარდაცვალების შემდეგ, საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა 11^1-117–8 მუხლით და გ.გ.-ს ბრალი დაედო მსხვერპლის მიმართ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე შურისძიების მოტივით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით და რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

2017 წლის 17 იანვარს, სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 12 ივნისის განაჩენით, თელავის რაიონულმა სასამართლომ გ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117–8 მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს გ.გ. იყო 65 წლის, ხოლო მსხვერპლი ო.შ. 47 წლის. მათ არ ჰყავდათ საერთო შვილი. გ.გ.-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება და დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო დასაქმებული.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები
გამოძიება სისხლის სამართლის N 035150117002 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინების (112) მიღებისთანავე. საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

2017 წლის 15 იანვარს გ.გ. დააკავეს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. გ.გ. იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული. ბრალდებულის თქმით, მეუღლის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, იგი მიზნად ისახავდა მეუღლის სამაგალითოდ დასჯას და ამიტომ, მსხვერპლი გაუშვა, რადგან თავისთვის ეშველა.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მოტივზე მსჯელობისას, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

მსხვერპლის და აღნიშნავს, რომ ბრალდებული მეუღლეზე ფიზიკურად ძალადობდა. კერძოდ, 2016 წელს, გ.გ.-მ ო.შ. მეტალის ჯაჭვით სცემა. აღნიშნულის გამო მან მსხვერპლს რამდენჯერმე უთხრა, პოლიციაში განეცხადებინა ფიზიკური ძალადობის შესახებ, თუმცა,

მსხვერპლს არ სურდა მეუღლესთან დაშორება და ძალადობის შესახებ პოლიციაში საჩივრის შეტანაზე უარს აცხადებდა.

მიუხედავად ბრალდებულის პოზიციისა, რომ მას მეუღლის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია და მის მიზანს მსხვერპლის დასჯა წარმოადგენდა, საქმის მასალების ანალიზიდან იკვეთება კვალიფიკაციის პრობლემა. არსებული მტკიცებულებების სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ერთობლივი განხილვის შედეგად აშკარაა, რომ სახეზეა განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით. სამწუხაროდ, პროკურატურის მხრიდან კვალიფიკაციის შერჩევისას სათანადო ყურადღება არ დაეთმო დანაშაულის ჩადენამდე დამნაშავისა და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულებას, კერძოდ ძალადობის წინარე ისტორიას, ასევე ყურადღების მიღმა დარჩა მკვლელობის იარაღი (ბენზინის შესხმა და ცეცხლის წაკიდება), რომელიც თავისი ბუნებით საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის და განსაკუთრებულ ტანჯვას იწვევს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დამნაშავეს მსხვერპლის გადარჩენის მიზნით არაფერი მოუმოქმედებია, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის განზრახვას მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანების თაობაზე.

2017 წლის 26 აპრილს, მსხვერპლის და ტ.შ. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან ბუნდოვანია მისი პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 5 მაისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების სადავოდ არ გახდომის გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

2017 წლის 12 ივნისის განაჩენით, თელავის რაიონულმა სასამართლომ გ.გ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117–8 მუხლით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია.

აღსანიშნავია, რომ პროკურორმა სასამართლოს ყურადღების გამახვილება თხოვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53ე მუხლით[52] განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის საფუძვლებზე. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი არ არის უფლებამოსილი იშუამდგომლოს კონკრეტული სასჯელის სახის და ზომის გამოყენება, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს

[52]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი განსაზღვრავს სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=197#! [ბოლოს ნანახია 2018 წლის 7 ნოემბერს].

უფლებამოსილებაა, რაზეც სასამართლომ არ იმსჯელა. სასამართლოს ასევე არ შეუფასებია ქმედება და მისი შემადგენლობა გენდერული ნიშნით, რა დროსაც აუცილებელი იქნებოდა გაეთვალისწინებინა ისეთი გარემოებები, როგორიცაა დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედების განხორციელების ხერხი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და ა.შ.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[53]

2. გ.გ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/ 843-2017წ)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 15 აგვისტოს ბრალდების დადგენილების თანახმად, გ.გ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის განზრახ მკვლელობა. 2017 წლის 13 აგვისტოს, განაწყენებისა და ეჭვიანობის ნიადაგზე გ.გ.-მ სანადირო თოფიდან დამიზნებით ესროლა მეუღლეს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს გულ-მკერდის უკანა ზედაპირზე, მარცხნივ, ბეჭის ხაზზე მიაყენა შემავალი ცეცხლსასროლი ჭრილობა. მიღებული მძიმე ჭრილობის გამო მსხვერპლი ადგილზევე გარდაიცვალა.

2017 წლის 16 აგვისტოს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 30 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

დაცვის მხარემ განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება[54] თუმცა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს გ.გ. იყო 83 წლის, ხოლო მსხვერპლი - 63 წლის. მათ 4 შვილი ჰყავდათ, ოთხივე სრულწლოვანი. გ.გ.-ს მიღებული აქვს საშუალო ტექნიკური განათლება, 2017 წელს იყო დროებით უმუშევარი, ნასამართლობის არ მქონე.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N057130817002 საქმეზე დაიწყო ინფორმაციის (გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინება

[53]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 1-ლი ნოემბრის წერილი MIA 0 18 02674872.

[54]საჩივარში მითითებულია, რომ გ.გ.-მ გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული და ხელი შეუწყო მის გახსნას და რომ იგი არის ხანდაზმული, 83 წლის, არ არის ნასამართლევი და აქვს გულის პრობლემები.

– 112) მიღებისთანავე, 2017 წლის 13 აგვისტოს, შსს ბაღდადის რაიონულ სამმართველოში სსკის 11[1]-108ე მუხლით. ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

გ.გ. დააკავეს 2017 წლის 13 აგვისტოს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. ბრალდებული თავად გამოცხადდა პოლიციაში. იგი 14 აგვისტოს დაიკითხა და აღიარა დანაშაული.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი დამოკიდებულების/მოპყრობის მოტივი. მსხვერპლის ოჯახის წევრები (შვილები) აღნიშნავდნენ, რომ ბრალდებული მეუღლეს სისტემატიურად აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და ღალატობდა, თავადაც შესწრებიან ძალადობის ფაქტებს. მსხვერპლს ხშირად უთქვამს შვილებისთვის, რომ მოძალადე მეუღლესთან მარტო დარჩენის ეშინოდა.

მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებულ კონფლიქტურ ურთიერთობას დაკითხვისას ადასტურებენ მათი მეზობლებიც. მოწმეები აღნიშნავენ, რომ მოძალადე მსხვერპლს ადანაშაულებდა, იმის გამო, რომ მათი ერთ-ერთი შვილი დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. მოძალადეს მიაჩნდა, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა განაპირობა ორსულობის პერიოდში მეუღლის მიერ საკუთარი თავის არასათანადოდ მოვლამ და ალკოჰოლური სასმელების სისტემატიურად მიღებამ. ასევე, მოძალადეს მსხვერპლთან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა, რადგან ეჭვობდა, რომ მეუღლე ღალატობდა. მსხვერპლს პოლიციისთვის არასოდეს მიუმართავს.

2017 წლის 14 აგვისტოს მსხვერპლის და მოძალადის შვილი მ.გ. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 17 ნოემბერს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. სსსკ-ის 73-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების ნაწილის სადავოდ არ გახდომის გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე აღნიშნულ მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

2017 წლის 30 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-108-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია.

სასამართლოს არ შეუფასებია ქმედება და მისი შემადგენლობა გენდერული ნიშნით, რა დროსაც აუცილებელი იქნებოდა გაეთვალისწინებინა ისეთი გარემოებები, როგორიცაა დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედების განხორციელების ხერხი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და ა.შ.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[55]

3. გ.ჯ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/2574-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 24 აპრილის ბრალდების დადგენილების თანახმად, გ.ჯ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა).

2017 წლის 23 აპრილს ბრალდებულმა მის საცხოვრებელ ბინაში ექვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივით, განზრახ მკვლელობის მიზნით, ელექტროსადენი ყელზე შემოუჭირა მსხვერპლს, რომელთანაც ჰყავდა საერთო შვილი და ეწეოდა საერთო მეურნეობას. მსხვერპლი ადგილზე გარდაიცვალა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსხვერპლის სიკვდილის მიზეზი გახდა ასფიქსია განვითარებული ზემო სასუნთქი გზების სამარყუჟე მასალით დაკეტვის შედეგად.

2017 წლის 25 აპრილს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 25 მაისს ახალი ბრალდების დადგენილების თანახმად, მკვლელობის მუხლს (11^1-108 მუხლი) დაემატა სხვა მუხლებიც. კერძოდ, გ.ჯ.-ს ბრალდება წარედგინა ოჯახის წევრის მიმართა ძალადობის და სიცოცხლის ხელყოფის მუქარის ფაქტებზე (სსკ-ის 126^1.1 მუხლით და 11^1-151 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით), კერძოდ:

2016 წლის 24 ივლისს საკუთარ საცხოვრებელ სახლში ბრალდებულმა მსხვერპლს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ხელი ჯერ დაარტყა კისრის არეში, ხოლო შემდეგ ძლიერად მოუჭირა მარჯვენა ხელზე. აღნიშნულმა ქმედებამ, მსხვერპლს ფიზიკური ტკივილი მიაყენა. ამავე დროს ბრალდებული მსხვერპლს მოკვლით დაემუქრა და მას გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

[55] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს 2017 წლის 23 აგვისტოს და 27 სექტემბრის წერილები MIA 6 17 02030602; MIA 3 17 02324739.

2017 წლის 23 აპრილს ბრალდებულმა მის საცხოვრებელ ბინაში ეჭვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივით, განზრახ მკვლელობის მიზნით, ელექტროსადენი ყელზე შემოუჭირა მსხვერპლს, რომელთანაც ჰყავდა საერთო შვილი და ეწეოდა საერთო მეურნეობას, რის შედეგადაც მსხვერპლი ადგილზე გარდაიცვალა.

2017 წლის 14 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108, 126^1.1, 11^1-151 მუხლები) და მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

დაცვის მხარემ განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და ბრალდებულის ჯანმრთელობის პრობლემების მიზეზით სასჯელის შემცირება მოითხოვა. პროკურატურა არ დაეთანხმა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარს იმ მოტივით, რომ გ.ჯ.-ს ჩადენილი ჰქონდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 7-15 წლამდე.

2017 წლის 24 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა 14 აგვისტოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც გ.ჯ.-ს შეეფარდა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს გ.ჯ. იყო 42 წლის, ხოლო მ.ვ. 40 წლის. ბრალდებულს მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება და იყო დროებით უმუშევარი.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N 010230417001 საქმეზე დაიწყო ინფორმაციის გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინების (112) მიღებისთანავე, 2017 წლის 23 აპრილს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს I განყოფილებაში, სსკის 108ე მუხლით. 24 აპრილს კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108ე მუხლებით. 2017 წლის 25 მაისს, გამოძიებას დაემატა სსკ-ის 126^1.1 და 151-ე მუხლები. დანაშაულის გამოძიების კუთხით ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

გ.ჯ. დააკავეს 2017 წლის 23 აპრილს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული. მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რომელიც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლიდან ხარვეზებით მიმდინარეობდა გამოძიება ბრალდებულის მიერ მსხვერპლისადმი განხორციელებული ოჯახში ძალადობის, მუქარის და ქონების დაზიანების ფაქტებზე. საქმეში ფიქსირდება მსხვერპლის მიერ პოლიციისადმი არაერთი შეტყობინება ბრალდებულის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ. კერძოდ, მსხვერპლი უთითებდა, რომ ბრალდებული არღვევდა შემაკავებელი ორდერის პირობებს და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მსხვერპლს და მის შვილებს.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ჩანს რომ არ გატარებულა საჭირო ღონისძიებები მსხვერპლის დაცვის მიზნით. 2016 წელს, ბრალდებულის მიერ მსხვერპლისადმი განხორციელებული ოჯახში ძალადობის, მუქარის და ქონების დაზიანების ფაქტებზე ბრალდებულს ბრალი წარედგინა მხოლოდ 2017 წელს, მსხვერპლის მკვლელობის შემდეგ.

მსხვერპლის შვილის ჩვენების თანახმად, ბრალდებული მსხვერპლს სისტემატიურად ამცირებდა და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ურტყამდა სახის და სხეულის არეში, რის გამოც მსხვერპლი განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. მოწმის ჩვენების თანახმად, ბრალდებულმა მსხვერპლი ორსულობის პერიოდშიც სცემა და მუცლის არეში მაკრატლით ჭრილობები მიაყენა, იგი სახლში უვარდებოდა მსხვერპლს და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. 2016 წელს, გ.ჯ.-მ ცეცხლი წაუკიდა მსხვერპლის საცხოვრებელი სახლის კარს, რა დროსაც მსხვერპლი სახლში მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა. ბრალდებული მსხვერპლის შვილებსაც აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. 2016 წლიდან ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოებდა გამოძიება მსხვერპლის მიმართ მუქარისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე.

2017 წლის 29 მაისს ნ.ხ. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 16 ივნისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73ე მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების სადავოდ არ გახდომის გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

2017 წლის 14 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108, 126^1.1, 11^1-151 მუხლებით) და მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

განაჩენში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებზე სასამართლო არ საუბრობს, თუმცა აღნიშნავს რომ, „სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო

ითვალისწინებს, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს გ.ჯ.-ს მიერ ჩადენილი ქმედებების ხასიათს (ოჯახური დანაშაული) და მის წარსულ ცხოვრებას".

სასამართლოს არ შეუფასებია ქმედება და მისი შემადგენლობა გენდერული ნიშნით, რა დროსაც აუცილებელი იქნებოდა ისეთი გარემოებების გათვალისწინება, როგორიცაა დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედების განხორციელების ხერხი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და ა.შ.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებულია შემდეგი შეტყობინებები:[56]

- 2016 წლის 24 ივლისს სსიპ 112-ში დაფიქსირდა მოქალაქე მ.ვ.-ს შეტყობინება. მ.ვ.-ს განცხადებით, მას ყოფილმა მეუღლემ გ.ჯ.-მ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.
- 2016 წლის 2 აგვისტოს სსიპ 112-ში დაფიქსირდა მ.ვ.-ს შეტყობინება. მ.ვ.-ს განცხადებით, გ.ჯ.-მ ბინას წაუკიდა ცეცხლი, სადაც ჩაკეტილი იყო მცირეწლოვანი ბავშვი.
- 2016 წლის 2 აგვისტოს დილის 2:36 და 3:01 სთ, სსიპ 112-ში დაფიქსირდა გ.ჯ.-ს შეტყობინება. მისი გადმოცემით, მ.ვ.-სთან ჰქონდა კონფლიქტი.
- 2017 წლის 10 თებერვალს, სსიპ 112-ში დაფიქსირდა მ.ვ.-ს შეტყობინება მ.ვ.-ს განცხადებით მას უთანხმოება ჰქონდა შვილის მამასთან გ.ჯ.-სთან.

4. ვ.ს.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/1412-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 6 იანვრის ბრალდების დადგენილების თანახმად, ვ.ს.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108 ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის (განზრახ მკვლელობა – ოჯახური დანაშაული). 2017 წლის 4 იანვარს ვ.ს.-მ მის დროებით საცხოვრებელ ბინაში, ეჭვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივით, განზრახ მკვლელობის მიზნით ზონარი ყელში შემოუჭირა მეუღლეს ზ.უ.-ს, რის შედეგადაც მსხვერპლი ადგილზე გარდაიცვალა.

2017 წლის 6 იანვარს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 19 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ ვ.ს. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108ე მუხლებით

[56]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 26 იანვრის და 7 აპრილის წერილები N 202049; MIA 9 17 00835776.

განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ვ.ს. იყო 51 წლის, ხოლო ზ.უ. 50 წლის. ბრალდებულს მსხვერპლთან საერთო შვილი არ ჰყავდა. ვ.ს.-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება და 2017 წელს დროებით უმუშევარი იყო.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N010040117002 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინების (112) მიღებისთანავე. საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. ვ.ს. დააკავეს 2017 წლის 4 იანვარს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას. თუმცა, ბრალის შესახებ დადგენილებაში გენდერულ მოტივთან დაკავშირებით მსჯელობა არ განვითარებულა.

მსხვერპლის ოჯახის წევრები და ნათესავები აღნიშნავენ, რომ ბრალდებულს ჰქონდა დეპრესია, ეტანებოდა ნარკოტიკულ საშუალებებს და აზარტულ თამაშებს. იგი წლების განმავლობაში იყო უმუშევარი და ფინანსურად მსხვერპლი უზრუნველყოფდა. ბრალდებულს და მსხვერპლს კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდათ. მოწმეთა ჩვენების თანახმად, ბრალდებული მსხვერპლს სისტემატიურად ამცირებდა, აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ბრალდებული მსხვერპლზე ეჭვიანობდა და ღალატში ადანაშაულებდა.

2017 წლის 6 თებერვალს მსხვერპლის დედა ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 4 აპრილს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების სადავოდ არ გახდომის გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განაჩენით ვ.ს. სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108ე მუხლებით

გათვალისწინებული ქმედებისთვის (განზრახ მკვლელობა) და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნდა. სასამართლოს პოზიცია არ დაუსაბუთებია და არ უმსჯელია დანაშაულის ჩადენის გენდერულ მოტივზე.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[57]

5. დ.ო.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/1674-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 16 იანვრის ბრალდების დადგენილების თანახმად, მსხვერპლი (ნ.კ.) ბოლო 20 წლის განმავლობაში ბრალდებულის მამასთან (დ.ო) ერთად ცხოვრობდა და მათ საერთო მეურნეობა ქონდათ. უკანასკნელ პერიოდში, ბრალდებულს და მსხვერპლს ერთმანეთთან დაეძაბათ ურთიერთობა. ბრალდებული მსხვერპლის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, რადგან მსხვერპლი მეურნეობიდან წასვლას აპირებდა. ხსენებულის გამო, განიზრახა მისი მოკვლა.

2017 წლის 14 იანვარს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი დ.ო. მივიდა მსხვერპლის საცხოვრებელ სახლში და მამის სახელზე რიცხული ორლულიანი სანადირო თოფიდან განზრახ მოკვლის მიზნით, ესროლა საწოლში მწოლიარე მსხვერპლს. მსხვერპლი მძიმე დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარის შემდეგ ბრალდებულმა იქვე დააგდო სანადირო თოფი და დატოვა შემთხვევის ადგილი.

2017 წლის 17 იანვარს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომ-ლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 14 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ დ.ო. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 - 108-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს დ.ო. იყო 39 წლის, ხოლო ნ.კ. 62 წლის. დ.ო.-ს მიღებული აქვს ტექნიკური განათლება და 2017 წელს დროებით უმუშევარი იყო. ასევე ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს იგი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

[57]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 6 მარტის და 20 აპრილის წერილები: MIA 3 17 00533603; MIA 4 17 00931864

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N010140117001 საქმეზე დაიწყო 2017 წლის 14 იანვარს, ბრალდებული დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალის აღიარებით თავად გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში. საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

მსხვერპლის ოჯახის წევრები და ნათესავები აღნიშნავენ, რომ ბრალდებულს მსხვერპლთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ბრალდებული მსხვერპლს აბრალებდა, რომ იგი მის მამასთან დაშორებას და მეურნეობიდან ჩამოშორებას ცდილობდა. ასევე, ბრალდებული მსხვერპლს მშობლების დაშორების გამო ადანაშაულებდა.

2017 წლის 23 იანვარს მსხვერპლის ძმა ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განემარტა უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 24 აპრილს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. დაცვის მხარემ მტკიცებულებები სადავოდ გახადა, რომელთა გამოკვლევაც არსებითი განხილვის სხდომაზე მოხდა. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 აგვისტოს განაჩენით დ.ო. სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-108ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის (განზრახ მკვლელობა) და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლო შემამსუბუქებელ გარემოებებად მიიჩნევს იმას, რომ მსხვერპლისთვის სროლის შემდეგ ბრალდებული თავად გამოცხადდა პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში, ხელი შეუწყო გამოძიებას და როგორც საგამოძიებო ორგანოში, ისე სასამართლოში, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული.

სასამართლოს პოზიციით ბრალდებულის ქმედებას დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია. სასამართლოს პოზიცია არ დაუსაბუთებია. ამასთან, სასამართლოს არ შეუფასებია ქმედება და მისი შემადგენლობა გენდერული ნიშნით.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[58]

6. მ.ზ.-ს საქმე (ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე N1/169-17წ)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 10 აპრილის ბრალდების დადგენილების თანახმად, მ.ზ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 108ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის განზრახ მკვლელობა.

2017 წლის 13 ივლისის დადგენილების თანახმად, მ.ზ.-ს ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 108ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის (განზრახ მკვლელობა); სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის - ძალადობა; სსკ-ის 19-109-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებისთვის - ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

2017 წლის 9 აპრილს მ.ზ.-მ მეუღლეს ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით მოკვლის მიზნით, სამზარეულოს დანით სხეულის სხვადასხვა ადგილებში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები, რის შედეგადაც მსხვერპლი ადგილზე გარდაიცვალა. ამავე დღეს, მ.ზ.-მ ცემა ცოლისდა, კერძოდ, სახის არეში რამდენჯერმე დაარტყა მუშტი. მსხვერპლმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

2017 წლის 9 აპრილს მ.ზ.-მ მეუღლის მკვლელობის შემდგომ ეჭვიანობის ნიადაგზე გადაწყვიტა მისი მეგობრის (ვისზეც ბრალდებული ეჭვიანობდა) ოჯახზე შურისძიება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ფანჯრიდან შეაღწია მისი მეგობრის სახლში და მოკვლის განზრახვით სახლში მყოფ მეგობრის მამას რამდენჯერმე ჩაარტყა ნაჯახი სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში: შუბლის, თავისა და მარჯვენა ლავიწის არეში. შემდეგ დატოვა შემთხვევის ადგილი. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება.

2017 წლის 11 აპრილს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომ-ლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 11 ოქტომბერს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მ.ზ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 108-ე, 126.1-ე და 19-109-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქმედებების ჩადენისთვის და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას და გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, იგი არ დაეთანხმა სსკ-

[58] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 1-ლი ნოემბრის წერილი MIA 0 18 02674872

ის 19-109-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულის ბრალად შერაცხვას. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ.ზ.-ს სააპელაციო საჩივარი და მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ბრალდებულმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს მ.ზ. იყო 37 წლის, ხოლო თ.ბ. 27 წლის. მათ 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავდათ. მ.ზ.ს მიღებული აქვს საშუალო განათლება და 2017 წელს დროებით უმუშევარი იყო. ბრალდებული სხვადასხვა დანაშაულისთვის არაერთხელ იყო გასამართლებული.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N084090417001 საქმეზე დაიწყო მას შემდეგ, რაც ბრალდებულის ცოლის და დაუკავშირდა პოლიციას და აცნობა მისი სიძის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. 2017 წლის 9 აპრილს, გამოძიება დაიწყო სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მიერ 11^1-108ე მუხლით. 28 აპრილს გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1, 108-ე, 126.1 და 19-109-3 ნაწილის („ა“) მუხლებით.

ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. მ.ზ. დააკავეს 2017 წლის 9 აპრილს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

დაკითხული მოწმეები აღნიშნავენ, რომ მსხვერპლი იყო სისტემატური ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ბრალდებული მსხვერპლზე მუდმივად ეჭვიანობდა, აბრალებდა ნათესავებთან და მეგობრებთან ღალატს. იგი მსხვერპლს უშლიდა სახლიდან გასვლას, მაკიაჟის და სათვალის გაკეთებას.

2017 წლის 10 აპრილს ი.ბ. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 31 ივლისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის

თანახმად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების სადავოდ არ გახდომის გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

2017 წლის 11 ოქტომბერს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მ.ზ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1, 108-ე, 126.1- ე და 19-109-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქმედებების ჩადენისთვის და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება არ გააჩნია, დამამძიმებელ გარემოებას კი წარმოადგენდა ბრალდებულის ნასამართლობა, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს პოზიცია არ დაუსაბუთებია.

სასამართლოს ასევე არ შეუფასებია ქმედება და მისი შემადგენლობა გენდერული ნიშნით, რა დროსაც აუცილებელი იქნებოდა დანაშაულის მოტივის, მიზნის, ქმედების განხორციელების ხერხის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების და სხვა გარემოებების გათვალისწინება.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[59]

7. გ.კ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/2939-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 13 მაისის ბრალდების დადგენილების თანახმად, გ.კ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის თვითმკვლელობამდე მიყვანა. 2017 წლის 14 მაისს გ.კ.-ს ბრალი დაზუსტდა 11^1-115-ე მუხლით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობამდე მიყვანა). 2017 წლის 18 თებერვალს გ.კ. სასტიკად მოეპყრო თავის ყოფილ მეუღლეს ა.ლ.-ს. კერძოდ, მიაყენა მას მრავლობითი დაზიანება თავის არეში, რის შემდეგაც ა.ლ.-მ ბინის სააბაზანო ოთახში ქამრის მსგავსი საგნის გამოყენებით თავი ჩამოიხრჩო.

2017 წლის 14 მაისს სასამართლომ განჩინებით დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2018 წლის 9 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.კ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-115-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

[59]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 16 მაისის წერილი MIA 6 17 01148342.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა განაჩენს და სააპელაციო სასამართლოში ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

2017 წელს გ.კ. იყო 29 წლის, ხოლო ა.ლ. 26 წლის. მათ ჰყავდათ მცირეწლოვანი (5 წლის) შვილი. გ.კ.-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება, იყო უმუშევარი.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N004190217001 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინების (112) მიღებისთანავე, 2017 წლის 19 თებერვალს ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. გ.კ. სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს 2017 წლის 13 მაისს.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

მსხვერპლის მეზობლები აღნიშნავენ, რომ მსხვერპლს ბრალდებულთან ჰქონდა დაძაბული ურთიერთობა. ბრალდებული მსხვერპლს ხშირად აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. აღნიშნულის გამო, მსხვერპლი იძულებული გახდა დროებით ახლობელთან ეცხოვრა. დაკითხვისას თავად ბრალდებულიც აღიარებს მსხვერპლისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

მსხვერპლის ოჯახის ახლობლები აღნიშნავენ, რომ უნახავთ ფოტომასალა, სადაც აღბეჭდილი იყო ბრალდებულის მიერ მსხვერპლისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებები. მოწმეთა ჩვენებით, ბრალდებული მსხვერპლს მოკვლით ემუქრებოდა.

მსხვერპლის ოჯახის წევრების ინფორმაციით, ბრალდებულის მიმართ გამოწერილი იყო შემაკავებელი ორდერი. გ.კ. გატაცებული იყო აზარტული თამაშებით და ასევე იყო ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი და ე.წ „მეტადონის“ პროგრამაში ირიცხებოდა. 2017 წლის 13 მაისს მსხვერპლის დედა ა.გ. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განემარტა უფლებები. საქმეში არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლე გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 6 ივლისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მხარეებმა მტკიცებულებები სადავოდ გახადეს, რომელთა გამოკვლევაც არსებითი განხილვის სხდომაზე განხორციელდა.

2018 წლის 9 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.კ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-115-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია.

სასამართლოს არ შეუფასებია ქმედება და მისი შემადგენლობა გენდერული ნიშნით.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებულია შემდეგი შეტყობინებები:[60]

- ✔ 2017 წლის 19 თებერვალს სსიპ 112-ში დაფიქსირდა შეტყობინება სუიციდთან დაკავშირებით.
- ✔ 2016 წლის 16 ოქტომბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება ყოფილ მეუღლესთან კონფლიქტის შესახებ. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი. ა.ლ.-მ უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე. შედგა რეაგირების ოქმი.
- ✔ 2016 წლის 15 ოქტომბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება ყოფილ მეუღლესთან კონფლიქტის შესახებ. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ა.ლ.-მ უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე. შედგა რეაგირების ოქმი.
- ✔ 2015 წლის 21 ნოემბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ა.ლ.-მ განაცხადა, რომ მას საყოფაცხოვრებო ნიადაგზე კონფლიქტი მოუვიდა გ.კ.-სთან. ა.ლ.-მ უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე. შედგა რეაგირების ოქმი.
- ✔ 2015 წლის 16 იანვარს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. პატრულ-ინსპექტორმა გ.კ.-ს მიმართ გამოწერა შემაკავებელი ორდერი.
- ✔ 2015 წლის 16 იანვარს გამოძიება დაიწყო გ.კ.-ს მიერ მეუღლის ა.ლ.–ს მიმართ განხორციელებულ ოჯახში ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა გამოძიებით არ დადასტურდა გ.კ.–ს მიერ რაიმე სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რის გამოც პროკურატურის 2015 წლის 19 თებერვლის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება.
- ✔ 2014 წლის 6 დეკემბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ა.ლ.-მ განაცხადა, რომ მას სურდა გ.კ.-სთან დაშორება და საცხოვრებლად ცალკე გადასვლა. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი გამოიძახა მშვიდად და კონფლიქტის გარეშე სახლის დატოვების მიზნით. ა.ლ.-მ უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე. შედგა რეაგირების ოქმი.
- ✔ 2014 წლის 5 ივლისს, სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ-ს შეტყობინება. ადგილზე გამოცხადდა

[60] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 7 აპრილის წერილი MIA 5 17 00831983.

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. პატრულ-ინსპექტორმა გ.კ.-ს მიმართ გამოწერა შემა-კავებელი ორდერი.

- ✔ 2014 წლის 21 აპრილს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ა.ლ.-მ განაცხადა, რომ მისი ყოფილი მეუღლე გ.კ. აწუხებდა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მისი მეუღლე აკაკუნებდა კარზე და არ აძლევდა დაძინების საშუალებას. ა.ლ-მ უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის შედგენაზე. პატრულ-ინსპექტორმა შეადგინა რეაგირების ოქმი.
- ✔ 2013 წლის 18 დეკემბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ა.ლ.-მ განაცხადა, რომ მისი მეუღლე გ.კ. იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და სურდა სახლი დაეტოვებინა. გ.კ.-მ დატოვა სახლი. ა.ლ.-მ შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე უარი განაცხადა.
- ✔ 2013 წლის 4 ოქტომბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. მათ მიერ გ.კ.-ს მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის (პოლიციის თანამშრომლის განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა).
- ✔ 2013 წლის 28 სექტემბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. მისი გადმოცემით, მეუღლესთან ჰქონდა უთანხმოება. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ა.ლ.-მ უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და პოლიციელთა თანამშრომლობის თაობაზე. შედგა რეაგირების ოქმი.
- ✔ 2013 წლის 7 მაისს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. მისი განმარტებით, იგი მეუღლემ სცემა და არ აძლევდა ბავშვის წაყვანის უფლებას. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, ა.ლ.-ს განმარტებით მას სურდა ბინიდან წასვლა და მისი მეუღლე უფლებას არ აძლევდა, ხოლო ოჯახურ კონფლიქტს და ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. ა.ლ.-მ უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის შედგენაზე. პატრულ-ინსპექტორმა შეადგინა რეაგირების ოქმი.
- ✔ 2013 წლის 6 თებერვალს სსიპ 112-ში დაფიქსირდა შეტყობინება. ა.ლ.-ს განცხადებით მას მეუღლესთან (გ.კ.-სთან) ჰქონდა კონფლიქტი, რომელმაც მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ფაქტზე გამოწერილ იქნა შემაკავებელი ორდერი.

2013 წელს ა.ლ.–ს მიერ სსიპ 112-ში დაფიქსირდა 4 შეტყობინება, თუმცა მოგვიანებით იგი კვლავ დაუკავშირდა სსიპ 112-ს და განაცხადა, რომ აღარ საჭიროებდა საპატრულო პოლიციის დახმარებას:

- ✔ 2013 წლის 8 დეკემბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.–ს შეტყობინება ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით. მოგვიანებით ა.ლ. დაუკავშირდა სსიპ 112-ის სამსახურს და განაცხადა, რომ აღარ სურდა საპატრულო პოლიციის დახმარება, რადგან მისმა მეუღლემ დატოვა მისამართი.
- ✔ 2013 წლის 10 ნოემბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, სადაც არავინ გამოეხმაურა. სატელეფონო

საუბრით ინიციატორმა ა.ლ.–მ განაცხადა, რომ ყოფილი მეუღლე აწუხებდა, რომელმაც მისამართი დატოვა და აღარ საჭიროებდა დახმარებას.

- ✔ 2013 წლის 3 ოქტომბერს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება, მეუღლესთან კონფლიქტის თაობაზე, თუმცა მოგვიანებით კვლავ დაუკავშირდა 112-ს და განაცხადა, რომ აღარ სურდა საპატრულო პოლიციის დახმარება.
- ✔ 2013 წლის 12 ივნისს სსიპ 112-ში დაფიქსირდა ა.ლ.-ს შეტყობინება მეუღლესთან კონფლიქტის თაობაზე, თუმცა მოგვიანებით კვლავ დაუკავშირდა სსიპ 112-ის სამსახურს და განაცხადა, რომ მეუღლესთან პრობლემა მოგვარდა და აღარ საჭიროებდა დახმარებას.

ხ.ნ.- ს საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლო, საქმე N1-283-17)

ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 5 მაისის ბრალდების დადგენილების თანახმად, ხ.ნ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1–108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის - ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა. 2017 წლის 20 ივნისს, საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა 11^1-109-3 (ბ) მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით).

2017 წლის 20 ივნისის დადგენილების თანახმად, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ბრალდებულმა ეჭვიანობის ნიადაგზე, დანის მრავალჯერადი დარტყმით მოკლა მეუღლე ე.გ. კერძოდ, ბრალდებულმა მეუღლეს თექვსმეტი დაზიანება მიაყენა სხეულის სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის შემავალი ჭრილობები გულ-მკერდის ღრუში.

2017 წლის 5 მაისს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლომ ხ.ნ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-109-3,ბ მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით) და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ხ.ნ. იყო 28 წლის, ხოლო მსხვერპლი ე.გ. 21 წლის. მათ ჰყავდათ 2 მცირეწლოვანი შვილი. ხ.ნ.-ს განათლება არ მიუღია.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N042040517001 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან შეტყობინების (112) მიღებისთანავე, 2017 წლის 4 მაისს. საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

ხ.ნ. დააკავეს 2017 წლის 4 მაისს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი დაიკითხა 2017 წლის 24 მაისს და აღიარა დანაშაული. მან განაცხადა, რომ მეუღლე მოკლა ეჭვიანობის ნიადაგზე, სხვა კაცთან ღალატის გამო.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას; თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

დაკითხვისას მსხვერპლის და ბრალდებულის მეზობლები აღნიშნავდნენ, რომ ბრალდებულს და მსხვერპლს ერთმანეთთან ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი. მათი სახლიდან ხშირად გამოდიოდა ხმამაღალი საუბრის ხმა.

მსხვერპლის დედა აღნიშნავს, რომ ბრალდებულსა და მის შვილს ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი, თუმცა მალევე რიგდებოდნენ. მისივე განმარტებით, ბრალდებულმა მისი შვილი მოკლა, სხვა მამაკაცთან მიმოწერის გამო. საქმეზე დაკითხული მოწმეები, მკვლელობის მოტივად მსხვერპლის ღალატს ასახელებენ. ამავე მოტივს უთითებს თავად ბრალდებულიც.

გამოძიებამ მოწმის სტატუსით დაკითხა მსხვერპლის მეგობარი მამაკაცი. აღნიშნული პირის მოწმის სტატუსით დაკითხვისას, გამომძიებელი მას უსმევდა არაეთიკურ, გამოძიებასთან შემხებლობის არმქონე კითხვებს, რომელიც მსხვერპლის პატივს და ღირსებას შეურაცხყოფდა. გამოძიების მიერ დასმული კითხვები იყო შემდეგი სახის: „სად ხვდებოდით მსხვერპლს“, „დღის რა მონაკვეთში ხვდებოდით მსხვერპლს“, „რამდენჯერ და სად გქონდათ მსხვერპლთან სქესობრივი კავშირი“, „ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ჰყავდა თუ არა მსხვერპლს თქვენს გარდა სხვა მეგობარი მამაკაცი“.

2017 წლის 8 მაისს მსხვერპლის დედა ფ.გ. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა. ბრალდებულისათვის ბრალის დამძიმების შემდეგ, 2017 წლის 20 ივნისს, მსხვერპლის დედა ფ.გ. კვლავ ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ და განუმარტეს მისი უფლებები.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 30 ივნისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. დაცვის მხარემ სადავოდ ცნო ყველა მტკიცებულება, რაც გამოკვლეულ იქნა არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე. სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა დანაშაული არ აღიარა.

2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ ხ.ნ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 109-3,ბ მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით) და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია.

ბრალდებამ და დაცვის მხარემ სააპელაციო საჩივარი შეიტანეს სასამართლოში და და-საბუთებლობის საფუძვლით განაჩენის გაუქმება მოითხოვეს. ბრალდების მხარე მიიჩნევდა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენი ხ.ნ.-ს მიმართ ბრალდების ნაწილში იყო დაუსაბუთებელი. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, ქმედების ჩადენის ხერხი, სახე და მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

პროკურატურამ მოითხოვა სასჯელის გამკაცრება სსკ-ის 11[1], 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. დაცვის მხარემ განაჩენში ცვლილების შეტანა და დამნაშავედ ცნობა უფრო მსუბუქი - სსკ-ის 111-ე მუხლით მოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ ბრალდებისა და დაცვის მხარეთა საჩივრები არ დააკმაყოფილა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განაჩენი უცვლელად დატოვა. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაცვის მხარემ უკანონობის საფუძვლით საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. მითითებული განაჩენი სასჯელის ნაწილში დაუსაბუთებელია.

ამასთანავე, სასამართლომ უგულებელყო სსკ-ის 53[1] მუხლის მოთხოვნები (სასჯელის დამამ-ძიმებელი გარემოებები). სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ დანაშაული ჩადენილი იყო ოჯახის წევრის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით, რაც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[61]

9. ვ.ხ.-ს საქმე (მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე №1/274-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 5 აგვისტოს ბრალდების დადგენილების თანახმად, ვ.ხ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-109 – 3ბ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით).

2017 წლის 3 აგვისტოს, ბრალდებულმა საცხოვრებელ სახლში, ეჭვიანობის ნიადაგზე, განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მოკვლის მიზნით, მათი შვილის თანდასწრებით, ყელის

[61] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 4 ივლისის წერილი MIA 0 17 01591443.

და სხეულის სხვა ნაწილებში, დანით დაჭრა თავისი მეუღლე ე.ხ., რომელიც მოგვიანებით, მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

ფიზიოლოგიური აფექტის დადგენის შემდეგ, საქმე გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 111.1 მუხლით (განზრახ მკვლელობა ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში).

2017 წლის 5 აგვისტოს, სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 7 დეკემბერს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ვ.ხ. იყო 49 წლის, ხოლო მსხვერპლი ე.ხ. 41 წლის. მათ ჰყავდათ საერთო შვილები. ვ.ხ.-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებული იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N087030817001 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან შეტყობინების (112) მიღებისთანავე, 2017 წლის 3 აგვისტოს. საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

ვ.ხ. დააკავეს 2017 წლის 3 აგვისტოს, სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი დაიკითხა 2017 წლის 9 აგვისტოს და აღიარა დანაშაული. განმეორებით ბრალდებული დაიკითხა 2017 წლის 27 ოქტომბერს. ბრალდებულის განმარტებით, მეუღლის მიერ მიყენებული შეურაცხყოფის და ღალატის გამო, იგი ჩავარდა აფექტში და ვეღარ აკონტროლებდა მის ქმედებებს. ბრალდებულმა აღიარა დანაშაული.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას. თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

კერძოდ, ბრალდებულს წინასწარ ჰქონდა განზრახული მეუღლის მკვლელობა და დანაშაულის ჩადენამდე გაშმაგებული იძახდა: „მოვკლავ, მოვკლავ!“.

მოწმეები დაზარალებულს შეურაცხმყოფლად და დისკრიმინაციულად მოიხსენებდნენ. მოწმეები აღნიშნავდნენ, რომ ე.ხ. „ეარშიყებოდა მამაკაცებს, ძალიან ბევრ კაცთან ჰქონდა ურთიერთობა და მორიგი კაცის ჩათრევას აპირებდა ინტიმურ ურთიერთობაში“.

აღსანიშნავია, რომ საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა დაზარალებულის მეგობარი მამაკაცი (ვისზეც ბრალდებული ეჭვიანობდა) რომელმაც აღნიშნა, რომ მსხვერპლი წერდა სასიყვარულო შინაარსის წერილებს და ცდილობდა მასთან ურთიერთობის დამყარებას.

ერთ-ერთი მოწმე განმარტავს, რომ ქალი თავად იყო მკვლელობის მიზეზი, რადგან ღალატობდა ბრალდებულს და მას მძიმე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა.

2017 წლის 12 ოქტომბერს მსხვერპლის ძმა ა.ჩ. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

მითითებულ საქმეში პრობლემად გამოვლინდა გამოძიებისა და სასამართლოს მიერ დაზარალებული ქალის მიმართ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება, თითქოს ბრალდებული აფექტში ჩააგდო „მეუღლის ამორალურმა ქცევამ, ღალატმა და ბრალდებულისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტმა“, რამაც ქალის მკვლელობა გამოიწვია. გამოძიებისა და სასამართლოს დასაბუთების მთავარ ხაზს წარმოადგენდა ქალის დადანაშაულება ბრალდებულის მიერ მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის პროვოცირებაში. აღნიშნულის შესახებ მითითებულია როგორც ბრალდების დადგენილებაში, ისე მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენში.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 7 ნოემბერს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მხარეებმა არსებითი განხილვის სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ნაწილი სადავოდ გახადეს. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

2017 წლის 7 დეკემბერს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. სასამართლო ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

მტკიცებულებების ანალიზით ვლინდება, რომ მას შემდეგ, რაც მოძალადემ გაიგო მეუღლის ღალატის შესახებ, მოვიდა სახლში და დანით მოკლა. შესაბამისად, საქმეში არ იკვეთება აფექტის იურიდიული მხარე. აფექტის შესაფასებლად სამედიცინო ელემენტებთან ერთად აუცილებელია იურიდიული ელემენტების უპირობო არსებობა. მტკიცებულებების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ბრალდებულმა მკვლელობის დღეს პირველად გაიგო მეუღლის ღალატის შესახებ. ინფორმაციის მიღებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ მივიდა სახლში და მსხვერპლი მოკლა (განზრახვა სისრულეში მოიყვანა). შესაბამისად, მოძალადის ქმედება და ემოცია არ იყო უეცრად აღძრული. მოძალადის ქმედებას აკლია იურიდიული ელემენტები, რომელიც სამედიცინო ელემენტებთან ერთად აფექტის შემადგენლობას მოგვცემდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურამ არასწორად მოახდინა ქმედების კვალიფიკაცია. მტკიცებულების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ მოძალადემ ჩაიდინა სსკ-ის 11[1]-108-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაული (მკვლელობა ოჯახის წევრის მიერ). პროკურატურის აღნიშნული გადაწყვეტილება საკმაოდ სახიფათო პრეცედენტია, რომელიც სტიმულს აძლევს მოძალადეებს ექვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივით ჩაიდინონ მეუღლის (ქალის) მკვლელობა და მათი დანაშაულებრივი ქმედება მსხვერპლის ამორალური ქცევით გაპირობებულ აფექტში ჩადენილად დანაშაულად გაასაღონ, რომლისთვისაც სანქციას შინაპატიმრობა ვადით ექვი თვიდან ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე წარმოადგენს.

სასამართლომაღნიშნა,რომბრალდებულისპასუხისმგებლობისშემამსუბუქებელგარემოებას გამოძიებასთან თანამშრომლობა წარმოადგენდა. მან თავი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში, ჰყავს 4 შვილი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი, დაზარალებულის უფლებამონაცვლეს მის მიმართ არ გააჩნია პრეტენზია. ხოლო დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა ოჯახის წევრის (მეუღლის) მიმართ - სსკ-ის 53[1] მუხლის მე-2 ნაწილი. სასამართლოს დამამძიმებელი პოზიცია არ დაუსაბუთებია.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[62]

[62]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 16 აგვისტოს და 28 სექტემბრის წერილები MIA 8 17 01970198; MIA 2 17 02337680.

ფემიციდის მცდელობის საქმეები

1. ს.ჭ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/516-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 23 მაისის ბრალდების დადგენილების თანახმად, 2017 წლის 21 მაისს ოჯახური ძალადობისთვის ნასამართლევმა პირმა, არასრულწლოვანი ოჯახის წევრის თანდასწრებით, იატაკის საწმენდი ჯოხით ფიზიკურად იძალადა სიდედრსა და მეუღლის დაზე (სსკ-ის 1261-2-ბ, ე, გ). ძალადობის შედეგად დაზარალებულებმა განიცადეს ფიზიკური ტკივილი.

2017 წლის 26 ივნისს ს.ჭ.-ს ბრალი დაუმძიმდა (სსკ-ის 111-117-1 მუხლი). კერძოდ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მ.შ.-ს დაზიანება მიეკუთვნება სხეულის დაზიანების მძიმე ხარისხს, რადგან იყო სიცოცხლისთვის სახიფათო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 23 მაისის განჩინებით, არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. ამავე განჩინებით, ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 4 000 ლარის ოდენობით.

2017 წლის 25 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ს.ჭ. დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ბრალდებული არ დაეთანხმა სასამართლოს განაჩენს და სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ბრალდებული ითხოვდა სასჯელის ერთი წლით შემცირებას, იმ მიზეზით, რომ აღიარა და მოინანია დანაშაული. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა ძალაში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ს.ჭ. იყო 42 წლის, სიდედრი 57 წლის, ხოლო ცოლისდა 27 წლის. ს.ჭ.-ს ყავდა 4 შვილი. ბრალდებულს ჰქონდა არასრული საშუალო განათლება და დანაშაულის ჩადენის დროს იყო დროებით უმუშევარი. ამასთან, დანაშაულის ჩადენის მომენტში იგი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ს.ჭ. არის ნასამარ-თლევი, მათ შორის, ორჯერ ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N041210517001 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან (112) შეტყობინების მიღებისთანავე 1261-2, გ მუხლით. 2017 წლის 26 ივნისს, საქმეს დაემატა კვალიფიკაცია 11^1–117-1 მუხლით. ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

ს.ჭ. დააკავეს 2017 წლის 21 მაისს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული. გასათვალისწინებელია, რომ არსებობდა შესაძლო მიმალვის საფუძველი, ვინაიდან ბრალდებული აცნობიერებდა ქმედების მართლწინააღმდეგობას და შეეძლო განესაზღვრა მოსალოდნელი შედეგი.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მოტივზე მსჯელობისას, თუმცა გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

მსხვერპლის ოჯახის წევრები (შვილები) აღნიშნავდნენ, რომ ბრალდებული სიდედრს და ცოლის დას სისტემატიურად აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის თაობაზეც ორჯერ გამოწერილი იქნა შემაკავებელი ორდერი.

2017 წლის 23 მაისს, ცოლისდა და სიდედრი დაზარალებულად ცნეს, მათ განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდათ თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 3 ივლისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ მტკიცებულებების სადავოდ არ გახდომის გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

საქმის მასალების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ (გირაო) იყო არაპროპორციული და მსუბუქი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და წარსულში ჩადენილი დანაშაულების გათვალისწინებით. ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა არც ბრალდებულის ძალადობრივი წარსული, არც პოლიციელების ჩვენება, რომლის მიხედვითაც შემთხვევის ადგილზე მისვლისას, ისინი შეესწრნენ ბრალდებულის მიერ დაზარალებულებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

2017 წლის 25 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ს.ჭ. დამნაშავედ ცნო დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განუსაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა წარსულში ნასამართლობა. აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების მიუხედავად, სასამართლოს არ უმსჯელია დანაშაულის ჩადენის გენდერულ მოტივზე.

ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებულია შემდეგი შეტყობინებები:[63]

- ✔ 2014 წლის 11 სექტემბერს ს.ა.-მ განაცხადა, რომ მ.შ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სიძემ გ.ჭ.-მ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შს სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N041110914002 საქმეზე, სსკ-ის 11^1-126^1 მუხლის პირველი ნაწილის კვალიფიკაციით. გამოძიებით დადგინდა, რომ ს.ჭ.-მ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მასთან მუდმივად მცხოვრებ მეუღლის დას მ.შ.-ს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის განაჩენით ს.ჭ.-ს შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, 150 საათის ოდენობით.

- ✔ 2015 წლის 30 დეკემბერს მ.შ.-მ განაცხადა, რომ დედამისს ლ.შ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სიძემ - ს.ჭ.-მ, რომელიც მასაც ემუქრება სახლიდან გაგდებით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შს სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N041311215001 საქმეზე, სსკ-ის 126^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით. გამოძიებით დადგინდა, რომ 2015 წლის 30 დეკემბერს, ს.ჭ.-მ არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, მეუღლის დედას ლ.შ.-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ს.ჭ.-ს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენით შეეფარდა 250 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და ჯარიმა 1 675 ლარის ოდენობით.

2. მ.ს.-ს საქმე (ბოლნისის რაიონული სასამართლო საქმე N1/133-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 2 მაისს ბრალდების დადგენილების თანახმად, მოძალადეს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

2017 წლის 30 აპრილს სარიტუალო დარბაზში მიმდინარე ქორწილში მ.ს.-მ მეზობელ მაგიდასთან მჯდომი ყოფილი მეუღლის რ.მ.-ს მკვლელობა განიზრახა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ის მიუახლოვდა მაგიდას, სადაც რ.მ. იჯდა, მაგრამ შეეშალა და დანა 4-ჯერ ჩაარტყა სხვა ქალს - ს.კ.-ს, რის შემდეგაც დააგდო დანა და შემთხვევის ადგილი დატოვა. ს.კ.-მ სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღო და მისი გადარჩენა მხოლოდ ექიმების ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის დროს მ.ს. იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, თუმცა ეს ფაქტი არ არის აღნიშნული ბრალდების შესახებ დადგენილებაში. ბრალდების შესახებ დადგენილებაში, ასევე არ არის მითითებული დანაშაულის ჩადენის მოტივი.

[63]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 5 ნოემბრის წერილი MIA 9 18 02701249.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 17 ივლისს ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მოძალადე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108ე მუხლით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს მოძალადე იყო 24 წლის, მისი მეუღლე 20 წლის. 20 წლის იყო ასევე ქალი, რომელიც შემთხვევით დაზარალდა. მოძალადეს და მის მეუღლეს 1 შვილი ჰყავდათ. მოძალადეს მიღებული აქვს საშუალო განათლება და დანაშაულის ჩადენის დროს იყო დროებით უმუშევარი. დანაშაულის ჩადენის მომენტში იგი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ დანაშაული სარიტუალო დარბაზში მოხდა, სადაც არასრულწლოვნებიც იმყოფებოდნენ.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N031300417001 საქმეზე დაიწყო ინფორმაციის (გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 112 შეტყობინება) მიღებისთანავე, 2017 წლის 30 აპრილს, მარნეულის რაიონულ სამმართველოში, 117-1 მუხლით. 2 მაისს კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108ე მუხლით.

ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. მოძალადე დააკავეს 2017 წლის 1 მაისს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

მოწმეები (მოძალადის ცოლის ნათესავები და მეზობლები) აღნიშნავდნენ, რომ ბრალდებული სისტემატურად ძალადობდა მეუღლეზე.

მოწმის სახით დაკითხულმა ბრალდებულის მეუღლემ განაცხადა, რომ მოძალადე მეუღლე სისტემატიურად ამცირებდა მას და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ურტყამდა სახის და სხეულის არეში, რის გამოც განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. მოწმე იხსენებს ძალადობის ერთ-ერთ ინციდენტს, როდესაც მოძალადემ მას ადუღებული წყალი შეასხა (მკვლელობის მცდელობამდე 2 წლით ადრე). ამის გამო, ბრალდებული გასამართლდა და პირობითი მსჯავრი

ჰქონდა შეფარდებული.[64] დანაშაულის ჩადენამდე 1 კვირით ადრე, ბრალდებული მეუღლეს დაემუქრა შემდეგი სიტყვებით: „წადი სახლიდან, სანამ ხელები არ გამისისხლიანებია“. როგორც ბრალდებულის მეუღლე აღნიშნავს, სახლიდან წამოვიდა და საცხოვრებლად ნათესავთან გადავიდა, თუმცა მეუღლე განაგრძობდა მის მიმართ მუქარას.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 21 ივნისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, როგორც სადავო მტკიცებულებები, რომელთა გამოკვლევაც არსებით სასამართლო სხდომაზე განხორციელდა.

2017 წლის 17 ივლისს ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მოძალადე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია.

მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საქმეში არც პროკურატურას და არც სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციულ მოტივზე, რაც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.

ფემიციდის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[65]

3. დ.გ.-ს საქმე (გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე N1/227-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 23 ივნისის ბრალდების დადგენილების თანახმად, დ.გ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-19-108ე და 236.2-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის (ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა). 2017 წლის 22 ივნისს საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში დ.გ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, განზრახ მკვლელობის მიზნით, სანადირო თოფიდან ორჯერ გასროლით რძალს მუცლის ღრუსა და მარჯვენა მხარეს, მენჯის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის დაზიანებები. საავადმყოფოში მსხვერპლს ჩაუტარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და გადარჩა.

---

[64]საქმეში არსებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ მ.ს. გასამართლებულია 2015 წლის 18 მარტს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ სსკ-ის 140-ე მუხლით (სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან) და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 8 თვით. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ¼-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც ჩაეთვალა პირობით მსჯავრად.

[65] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 1-ლი ნოემბრის წერილი MIA 0 18 02674872

2017 წლის 23 ივნისს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 8 ნოემბერს გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1], 19, 108ე და 236.2-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს დ.გ. იყო 77 წლის, ხოლო თ.თ. 35 წლის. დ.გ.ს მიღებული აქვს საშუალო განათლება და 2017 წელს არ იყო დასაქმებული. ბრალდებული არ ყოფილა გასამართლებული ან/და სახდელდადებული ოჯახში ძალადობის ფაქტზე.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N029220617001 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინების (112) მიღებისთანავე. საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

დ.გ. შემთხვევის ადგილზე დააკავეს 2017 წლის 22 ივნისს, სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

მსხვერპლის ოჯახის წევრები (მეუღლე და შვილები) აღნიშნავენ, რომ ბრალდებულს სისტემატური კონფლიქტი ჰქონდა რძალთან, ამცირებდა, აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის გამოც მსხვერპლი განიცდიდა ფიზიკურ და სულიერ ტკივილს. მსხვერპლის მეზობლები და ოჯახის წევრები აღნიშნავენ, რომ ბრალდებული ეჭვიანობდა რძალზე, რომ მეუღლეს ღალატობდა და არ უშვებდა მეზობლებთან.

2017 წლის 23 ივნისს თ.თ. ცნეს დაზარალებულად, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ **სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები**

2017 წლის 5 მაისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მხარეებმა მტკიცებულებების ნაწილი მიიჩნიეს სადავოდ, ნაწილი კი უდავოდ. მტკიცებულებები გამოკვლეულ იქნა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ნაწილობრივ ცნო. ბრალდებული ამბობდა, რომ მას მხოლოდ რძლის შეშინება სურდა და ამ მიზნით ისროლა მის გვერდით, ხოლო მეორე გასროლა ჰაერში მოახდინა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 ნოემბრის განაჩენით დ.გ სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-10-8ე და 236.2-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის (ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა). სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის არც შემამსუბუქებელი და არც დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია. სასამართლოს არ უმსჯელია დანაშაულის ჩადენის გენდერულ მოტივზე.

ფემიციდის მცდელობამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[66]

4. ფ.ი.-ს საქმე (თელავის რაიონული სასამართლო, საქმე N1/171-17)

✔ **ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა**

2017 წლის 13 აპრილის ბრალდების დადგენილების თანახმად, ფ.ი.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-108ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის (მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა). 2017 წლის 12 აპრილს საცხოვრებელი სახლის ეზოში ფ.ი.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე, მეუღლის განზრახ მოკვლის მიზნით მრავალჯერ დაარტყა დანა სხეულის სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, მუცლისა და გულმკერდის არეში და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები. ბრალდებულმა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა. მსხვერპლი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში და გადარჩა დროული სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად.

2017 წლის 19 ივნისის ბრალდების დადგენილების თანახმად, ბრალდებულს ბრალი დაუმძიმდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მეუღლის მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით). ფ.ი.-მ მკვლელობა მსხვერპლის დედის და მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით ჩაიდინა.

[66]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 12 ივლისის წერილი MIA 1 17 01660393

2017 წლის 14 აპრილის სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომ-ლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2017 წლის 1 დეკემბერს თელავის რაიონულმა სასამართლომ ფ.ი. გაამართლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111, 19–109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, დამნაშავედ ცნო 111-19-108-ე მუხლით (მეუღლის მკვლელობის მცდელობა) და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა განაჩენს და სააპელაციო სასამართლოში სასჯელის შემცირება მოითხოვა. 2017 წლის 1 დეკემბრის სასამართლო განაჩენი ასევე გასაჩივრდა ბრალდების მხარის მიერ. სააპელაციო საჩივრით პროკურატურამ მოითხოვა ფ.ი.-ს დამნაშავედ ცნობა 111-19-109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში - მეუღლის მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით.

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და ბრალდებული დამნაშავედ ცნო 111-19-109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და ფ.ი.-ს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ფ.ი-მ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ფ.ი. იყო 44 წლის, ხოლო ხ.ა. 31 წლის. მათ 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავდათ. ფ.ი.-ს მიღებული აქვს არასრული საშუალო განათლება და 2017 წელს დროებით უმუშევარი იყო. ასევე, ირკვევა, რომ დანაშაულს შეესწრნენ არასრულწლოვნები.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N035120417001 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მიღებული შეტყობინების (112) მიღებისთანავე, სსკის 19-108ე მუხლით. 13 აპრილს კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-108ე მუხლებით. 15 ივნისს კვალიფიკაცია კვლავ შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

ფ.ი. დააკავეს 2017 წლის 12 აპრილს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება,

რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას; თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

მსხვერპლის დედა აღნიშნავს, რომ ბრალდებული ხშირად სვამდა და ნასვამ მდგომარეობაში აყენებდა მსხვერპლს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. აღნიშნულზე ბრალდებულის მიმართ ორჯერ გამოცემულ იქნა შემაკავებელი ორდერი. მისივე ინფორმაციით, ბრალ-დებულმა რამდენჯერმე მოუქნია დანა მსხვერპლს, რის შემდეგაც მსხვერპლი წაიქცა. ბრალდებულმა წაქცეულ მსხვერპლს რამდენჯერმე კვლავ ჩაარტყა დანა მუცლის არეში. მსხვერპლის დედა და მცირეწლოვანი ბავშვები უყურებდნენ თუ როგორ ურტყამდა ბრალდებული დანას მსხვერპლს. მსხვერპლის მშობლები აღნიშნავენ, რომ ბრალდებული მათ შვილს ღალატში ადანაშაულებდა და მოკვლით ემუქრებოდა.

მსხვერპლის მეზობლების განმარტებით, ბრალდებულს და მსხვერპლს ხშირად მოსდიოდათ კონფლიქტი, რასთან დაკავშირებითაც პოლიცია ინფორმირებული იყო.

ბრალდებულის ჩვენების თანახმად, მას განზრახული ჰქონდა მეუღლისთვის თავის მოჭრა, თუმცა ბავშვები დაინახა და გადაიფიქრა. ბრალდებულმა მსხვერპლს დანა მუცლის არეში დაარტყა, რამდენჯერმე გადაატრიალა, იმაში დასარწმუნებლად, რომ მსხვერპლი მიყენებული ჭრილობების შედეგად აუცილებლად გარდაიცვლებოდა. ბრალდებულმა მეზობელს არ მისცა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესაძლებლობა.

მსხვერპლის ჩვენებით დანის დარტყმის დროს ბრალდებული მას უყვიროდა შემდეგი სიტყვებით: „მოკვდი მოღალატევ“. მსხვერპლის ოჯახის წევრების განმარტებით, ბრალდებული იმუქრება, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მსხვერპლს ფიზიკურად გაუსწორდება.

2017 წლის 13 აპრილს მსხვერპლი ხ.ა. ცნეს დაზარალებულად. ბრალდებულისთვის ბრალის დამძიმების შემდეგ, 15 ივნისს, ხ.ა. კვლავ ცნეს დაზარალებულად. მასვე განემარტა უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 13 ივლისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცე-ბულებები. მხარეებმა ნაწილი მტკიცებულებები გახადეს სადაოდ, ნაწილი კი უდაოდ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73ე მუხლის თანახმად, უდავო მტკიცებულებების გამოკვლევა არსებითი განხილვის სხდომაზე არ მომხდარა. ამასთან, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

2017 წლის 1 დეკემბერს თელავის რაიონულმა სასამართლომ ფ.ი. გაამართლა საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ფ.ი. დამნაშავედ ცნო 11[1], 19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და ბრალდებული დამნაშავედ ცნო 11[1],19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალ-დებაში - მეუღლის მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით და ფ.ი-ს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, თუმცა პოზიცია არ დაუსაბუთებია. აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეში სასამართლოს არ უმსჯელია დანაშაულის ჩადენის გენდერულ მოტივზე.

ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებულია შემდეგი შეტყობინებები:[67]

- ✔ 2017 წლის 3 იანვარს სსიპ 112-ში დაფიქსირდა მოქალაქე ს.ნ.-ს შეტყობინება. მისი განცხადებით, მის მდგმურთან იმყოფებოდა პიროვნება, სავარაუდოდ მეუღლე (ფ.ი.) და ჰქონდა ოჯახური კონფლიქტი.

- ✔ 2017 წლის 10 იანვარს, სასამართლოს მიერ დამტკიცდა პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი ფ.ი.-ის მიმართ მისი მეუღლის შეურაცხყოფის ფაქტზე.

- ✔ 2017 წლის 7 მარტს სსიპ 112-ში დაფიქსირდა მოქალაქე ხ.ა.-ს შეტყობინება, რომელიც ქართულად კარგად ვერ საუბრობდა და ოპერატორს გაესაუბრა მეზობელი, რომელმაც განაცხადა, რომ ხ.ა-ს სცემდა მეუღლე. ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რა დროსაც ხ.ა-მ განაცხადა, რომ მეუღლესთან ჰქონდა სიტყვიერი კონფლიქტი და აღარ სურდა მასთან ცხოვრება.

- ✔ 2017 წლის 9 მარტს სასამართლოს მიერ დამტკიცდა პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი ფ.ი.-ის მიმართ მისი მეუღლის შეურაცხყოფის ფაქტზე.

[67]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 28 ივნისის წერილი MIA 8 17 01537612

5. ი.ტ.- ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/2172-177)

ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 31 მარტის ბრალდების დადგენილების თანახმად, ი.ტ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ის 11^1-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით.

2017 წლის 31 მარტის ბრალდების დადგენილებით, 2017 წლის 24 მარტს, ოჯახური კონფლიქტის დროს ი.ტ. სამზარეულოს დანის გამოყენებით შეეცადა მეუღლის მ.ფ.-ს განზრახ მკვლელობას. აღნიშნულს შეესწრო მათი მცირეწლოვანი შვილი. ი.ტ.-მ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან ხელი შეუშალა დანაშაულის თვითმხილველმა ბინის დიასახლისმა, რის შემდგომაც დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2017 წლის 31 მარტს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომ-ლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2018 წლის 18 იანვარს განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ტ.-ის ქმედება სსკ-ის 11^1-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით გადააკვალიფიცირა სსკ-ის 11^1-19-108-ე მუხლზე - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა და დამნაშავედ ცნო სსკ-ის 111-19-108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. სასამართლომ ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ი.ტ. იყო 38 წლის, ხოლო მსხვერპლი მ.ფ. 38 წლის. მათ ჰყავდათ 2 მცირეწლოვანი შვილი. ი.ტ. არის საშუალო განათლების მქონე და უმუშევარი, დანაშაულს ბრალდებულის და მსხვერპლის მცირეწლოვანი შვილი შეესწრო.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N004240317003 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან შეტყობინების (112) მიღებისთანავე, 2017 წლის 24 მარტს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-9 განყოფილებაში, სსკის 11^1-19-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა). 2017 წლის 28 მარტს გამოძიებამ კვალიფიკაცია შეცვალა და იგი გაგრძელდა სსკ-ის 11^1-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით.

ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. 2017 წლის 25 აპრილს, მიმალვაში მყოფი ი.ტ. დააკავეს სასამართლოს განჩინებით. ი.ტ. დაიკითხა 2017 წლის 26 აპრილს, არ აღიარა დანაშაული და დუმილის უფლება გამოიყენა.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

დაკითხვისას, მსხვერპლის და ბრალდებულის ნათესავები აღნიშნავენ, რომ ბრალდებული მსხვერპლს ხშირად აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. სთხოვდა საცხოვრებლად სოფელში გაჰყოლოდა, რაზეც მსხვერპლი უარს ეუბნებოდა. დაკითხვისას ბრალდებულის ნათესავებმა აღნიშნეს, რომ ბრალდებული მეუღლეზე ეჭვიანობდა, რომ მას საყვარელი ჰყავდა და სოფელში საცხოვრებლად ამიტომ არ მიჰყვებოდა.

მოწმის სახით დაკითხული, ბრალდებულის დედინაცვლის ინფორმაციით, მან გაიგონა მსხვერპლის სასოწარკვეთილი ყვირილი „მიშველეთ“ და შეესწრო მკვლელობას (დაინახა ყელის გამოჭრის და სახის არეში რამდენჯერმე დარტყმის ფაქტი), მომხდარ ფაქტს ასევე შეესწრო ბრალდებულისა და მსხვერპლის საერთო მცირეწლოვანი შვილი რომელიც მამას ევედრებოდა დედა არ მოეკლა. როგორც მოწმის სახით დაკითხული მსხვერპლის მეგობრები განმარტავენ, ფაქტის შემსწრე მცირეწლოვანი ხშირად ყვებოდა თუ როგორც ჩაარტყა მამამ დედას დანა და „სისხლი ადინა“. მოწმის სახით დაკითხული ბაგა-ბაღის ფსიქოლოგის ინფორმაციით, მცირეწლოვანი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არავის ესაუბრებოდა და ბაღში განმარტოებით იჯდა.

ბრალდებულის მამამ დაკითხისას განმარტა, რომ მსხვერპლს მისთვის ხშირად უთქვამს ბრალდებულის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ. დანაშაულის ფაქტამდე, მსხვერპლს დახმარების თხოვნით არასოდეს მიუმართავს პოლიციისთვის და სამედიცინო დახმარებისთვის.

დაზარალებული დაკითხვისას აღნიშნავს, რომ ბრალდებული სისტემატიურად იღებდა ალკოჰოლს და მას ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. მსხვერპლი ოჯახის შენარჩუნების მოტივით არავისთან საუბრობდა მომხდარის შესახებ.

2017 წლის 30 მარტს, მ.ფ. ცნეს დაზარალებულად. მასვე განემარტა უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 19 ივნისს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მხარეებმა სადავოდ გახადეს მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე. სასამართლოზე ბრალდებულმა დანაშაული არ აღიარა.

2018 წლის 18 იანვარს, განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ტ. -ის ქმედება სსკ-ის 11^1-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით გადააკვალიფიცირა სსკ-ის 11^1-19-108-ე მუხლზე - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა და დამნაშავედ ცნო სსკ-ის 11^1-19-108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. სასამართლომ ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებად დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენა მიიჩნია.

ბრალდებულმა საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში და ქმედების სსკ-ის 120-ე მუხლზე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) გადაკვალიფიცირება მოითხოვა.

პროკურატურამ სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს და ი.ტ-სთვის სსკ-ის 11^1-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განაჩენის გამოტანა მოითხოვა, რადგან ბრალდების მხარის პოზიციით, მკვლელობის მცდელობა ჩადენილი იყო განსაკუთრებული სისასტიკით. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის სააპელაციო საჩივარი და ბრალდებულს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბრალდებულმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო სასამართლოში გაასა-ჩივრა.

აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დანაშაული არასწორად დააკვა-ლიფიცირა და უგულებელყო რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებულ სისასტიკეზე მიანიშნებდა. სასამართლომ უგულებელყო დამნაშავის ქცევა, ბავშვის შემთხვევის ადგილზე ყოფნა, მის მიერ ფაქტის აღქმისა და გაცნობიერების, მის მიერ დანახულის გამო რეაქცია, ბრალდებულის გულგრილი დამოკიდებულება ბავშვის შემთხვევის ადგილზე ყოფნისადმი, დამნაშავის მიმალვა და დანაშაულის ფაქტამდე ბრალდებულის მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტები.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალა დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ, მას არ უმსჯელია დანაშაულის გენდერულ მოტივზე, რაც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.

ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებულია შემდეგი შეტყობინება[68]

- ✔ 2017 წლის 22 მარტს სსიპ 112-ში დაფიქსირდა მ.ფ-ს შეტყობინება, რომელმაც განაცხადა, რომ მეუღლესთან ჰქონდა კონფლიქტი და აღარ სურდა მასთან ურთიერთობა. ადგილზე მისულ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟთან გასაუბრებისას, მ.ფ-მ განაცხადა, რომ მეუღლის მხრიდან მის მიმართ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

[68]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს 2018 წლის 1-ლი ნოემბრის წერილი MIA 0 18 02674872

6. შ.ტ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4437-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 9 სექტემბრის ბრალდების დადგენილების თანახმად, შ.ტ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ის 11^1-19-108-ე მუხლის საფუძველზე - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

2017 წლის 6 სექტემბერს თბილისში, შ.ტ.-მ მეუღლე თ.ტ.-ს დანის გამოყენებით, ეჭვიანობის ნიადაგზე მიაყენა ჭრილობები გულმკერდის, მუცლისა და ზურგის არეში, რის შედეგადაც თ.ტ. გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში და დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად შეუნარჩუნდა სიცოცხლე.

2017 წლის 10 სექტემბერს, სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2018 წლის 27 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ შ.ტ.-ს სსკ-ის 11^1-19-108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის - მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს შ.ტ. იყო 42 წლის, ხოლო მსხვერპლი თ.ტ. 40 წლის. მათ ჰყავთ 3 შვილი. შ.ტ. არის უმაღლესი განათლების მქონე და დასაქმებული.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N007060917001 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან შეტყობინების (112) მიღებისთანავე, 2017 წლის 6 სექტემბერს. საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა. 2017 წლის 8 სექტემბერს, შ.ტ. დააკავეს სასამართლოს განჩინებით.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას, თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

დაკითხვისას მსხვერპლის ახლობლები აღნიშნავენ, რომ შეესწრნენ მკვლელობის მცდელობის ფაქტს, დაინახეს როგორ დაარტყა ბრალდებულმა მსხვერპლს დანა გულმკერდის არეში და როდესაც მსხვერპლი თავის დაღწევას ცდილობდა ბრალდებულმა ორჯერ დაარტყა დანა მუცლის და შემდეგ ზურგის არეში.

დაზარალებულის მეგობრები დაკითხვისას აღნიშნავენ, რომ ბრალდებულს და მსხვერპლს ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი, რის მიზეზადაც ბრალდებულის ეჭვიანობას ასახელებენ.

დაზარალებულის ინფორმაციით, ბრალდებული ეჭვიანი იყო და მას წლების განმავლობაში აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის გამოც მრავალჯერ დაშორდნენ, თუმცა შვილების გამო კვლავ რიგდებოდნენ.

2017 წლის 18 სექტემბერს, თ.ტ. ცნეს დაზარალებულად. მასვე განემარტა უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მხარეებმა სადავოდ გახადეს ნაწილი მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე.

2018 წლის 27 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ შ.ტ.-ს სსკ-ის 11[1]-19-108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის (მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობა) 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბრალდებულმა საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში და სასჯელის შემცირებას მოითხოვა.

სასამართლომ შეაფასა ქმედება და მისი შემადგენლობა გენდერული ნიშნით, რა დროსაც გაითვალისწინა ისეთი გარემოებები, როგორიცაა დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედების განხორციელების ხერხი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და ა.შ. თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სასჯელის დანიშვნისას, საქართველოს სსკ-ის 53[1] მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, - დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ. გარდა ამისა, მხედველობაში იქნა მიღებული მსხვერპლის სქესი, რაც დისკრიმინაციულ ხასიათზე მიანიშნებს.

ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება:[69]

69 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 21 სექტემბრის და 2018 წლის 26 აპრილის წერილები: MIA 8 17 02272291; MIA 2 18 00968195.

7. ი.ი.-ს საქმე (მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N1/240-17)

ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 6 ივნისის ბრალდების დადგენილების თანახმად, ი.ი.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19–108 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის - ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

2017 წლის 6 ივნისს ბრალდებულმა საცხოვრებელი სახლის ეზოში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სცადა მეუღლის ნ.ი.-ს განზრახ მკვლელობა, რა დროსაც თავში რამდენჯერმე ჩაარტყა ფიცარი და ჩაქუჩი. ექპერტიზის დასკვნის თანახმად დაზიანებები განეკუთვნებოდა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს.

ბრალდებულისთვის ფიზიოლოგიური აფექტის დადგენის შემდეგ, 2017 წლის 25 სექტემბერს, პროკურატურამ საქმეზე შეცვალა კვალიფიკაცია და ი.ი.-ს ბრალი წარუდგინა უეცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე (სსკ-ის 11^1-19-111.1 მუხლი).

დადგენილების თანახმად, დაზარალებულმა მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ბრალდებულს, რამაც გამოიწვია ბრალდებულის უეცარი, ძლიერი, სულიერი აღელვება, რის გამოც მეუღლეს მოკვლის მიზნით თავში ჯერ ფიცრის ნაჭერი, ხოლო შემდეგ ჩაქუჩი ჩაარტყა. დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა დროული სამედიცნო ჩარევის შედეგად.

2017 წლის 8 ივნისს სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2018 წლის 5 თებერვლის განაჩენით, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ი.ი-ს მოუხსნა 11^1. მუხლი, როგორც ზედმეტად წარდგენილი და დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.111-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის - მკვლელობის მცდელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ი.ი. იყო 84 წლის, ხოლო მსხვერპლი ნ.ი. 73 წლის. მათ ჰყავდათ საერთო შვილები. ი.ი.-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებული იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N032060617002 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან შეტყობინების (112) მიღებისთანავე, სსკის 126^1-1 მუხლით. 2017 წლის 6 ივნისს კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-108-ე მუხლით. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბრალდებულისთვის აფექტის დადგენის შემდეგ, 2017 წლის 25 სექტემბერს, შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდა სსკ-ის 11^1-19–111.1 მუხლით. საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

ი.ი. დააკავეს 2017 წლის 6 ივნისს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი იმავე დღეს დაიკითხა და აღიარა დანაშაული. ი.ი.-მ განაცხადა, რომ მეუღლემ მას შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც ჩავარდა აფექტში და მეუღლეს მიაყენა ფიზიკური დაზიანება თავის არეში. ბრალდებულის განმარტებით, მას მეუღლის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია. იგი იმყოფებოდა აფექტურ მდგომარეობაში და ვერ აკონტროლებდა ქმედებებს. ბრალდებულმა თავად გამოიძახა სასწრაფო დახმარების ბრიგადა და პოლიცია და აღიარა ჩადენილი დანაშაული.

მტკიცებულების შესწავლის, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებიდან არ იკვეთება მომხდარ ფაქტამდე ბრალდებულის მხრიდან მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ძალადობა. დაკითხვისას, მოწმეები საუბრობენ უშუალოდ 2017 წლის 6 ივნისს ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ და ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ.

2017 წლის 8 აგვისტოს, მსხვერპლი ნ.ი. ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მასვე განუმარტეს უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

მითითებულ საქმეში იკვეთება გამოძიებისა და სასამართლოს ეტაპზე ბრალდებულის მიერ მსხვერპლის მიმართ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება. როგორც ბრალდების შესახებ დადგენილებაში, ისე სასამართლოს განაჩენში ქალი დადანაშაულებულია დანაშაულის პროვოცირების გამო.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 4 ოქტომბერს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მხარეებმა მტკიცებულებების ნაწილი სადავოდ გახადეს, რომელთა გამოკვლევაც არსებითი განხილვის სხდომა განხორციელდა. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

2018 წლის 5 თებერვლის განაჩენით, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ი.ი-ს მოუხსნა 11^1. მუხლი, როგორც ზედმეტად წარდგენილი და დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.111-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის - მკვლელობის მცდელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის თანახმად, ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა ასაკი, წარსული ცხოვრება და დანაშაულის აღიარება, ხოლო დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა ოჯახის წევრის (მეუღლის) მიმართ - სსკ-ის 53[1] მუხლის მე-2 ნაწილი. სასამართლოს დამამძიმებელ გარემოებასთან დაკავშირებით პოზიცია არ დაუსაბუთებია.

ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[70]

8. კ.ო.-ს საქმე (ოზურგეთის რაიონული სასამართლო, საქმე N1-399-17)

✔ ფაქტების აღწერილობა – საქმის ფაბულა

2017 წლის 25 ოქტომბრის ბრალდების დადგენილების თანახმად, კ.ო.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახში ძალადობა არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-115-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა). ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბრალდებული დაზარალებულს არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, სისტემატიურად ულახავდა პატივს და ღირსებას.

2017 წლის ოქტომბრის თვეში მეუღლის მხრიდან ძალადობის გამო, დაზარალებულმა ორჯერ სცადა თვითმკვლელობა. კერძოდ, მ.ზ.-მ 2017 წლის 19 ოქტომბერს თვითმკვლელობის მიზნით დალია 10 აბი ანალგინი, ხოლო, 2017 წლის 22 ოქტომბერს, ასევე თავის მოკვლის მიზნით, დალია 20 აბი პარაცეტამოლი.

2017 წლის 26 ოქტომბერს სასამართლოს განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით საპატიმრო უზრუნველყოფით გამოყენებულ იქნა გირაო 10 000 ლარის ოდენობით. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ სასამართლოს განჩინება პროკურატურის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში. პროკურატურის განმარტებით, ბრალდებულს ბრალი წარდგენილი ჰქონდა ძალადობრივი ხასიათის დანაშაულისთვის და არსებობდა საფრთხე, რომ იგი კვლავ გააგრძელებდა ძალადობრივ ქმედებებს. ასევე, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ბრალდებული არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან. სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 4 ნოემბერს დაუშვებლად ცნო პროკურატურის საჩივარი, იმ მოტივით, რომ ადგილი არ ჰქონია კანონის მოთხოვნათა არსებით დარღვევას, რაც გავლენას მოახდენდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

2018 წლის 1 თებერვლის განაჩენით, სასამართლომ კ.ო. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 11[1]-115-ე

[70] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 25 ოქტომბრის წერილი MIA 3 18 02612468.

მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 2 წლით პირობითი მსჯავრი შეუფარდა. პროკურატურამ სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს და კ.ო.-სთვის პირობითი მსჯავრის ნაცვლად თავისუფლების აღკვეთის შეფარდება მოითხოვა. პროკურატურის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ უგულებელყო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული დაზარალებულს სისტემატიურად აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით.

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის განაჩენით, არ დაკმაყოფილდა პროკურატურის სააპელაციო საჩივარი და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი.

პროკურატურამ საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და პირობითი მსჯავრის ნაცვლად თავისუფლების აღკვეთის შეფარდება მოითხოვა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს კ.ო. იყო 43 წლის, ხოლო მსხვერპლი მ.ზ. 42 წლის. მათ ჰყავდათ საერთო შვილები. კ.ო.-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება.

✔ გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

გამოძიება სისხლის სამართლის N070201017001 საქმეზე დაიწყო გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან შეტყობინების (112) მიღებისთანავე, სსკ-ის 115-ე მუხლით.

საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დროულად, გაჭიანურების გარეშე ჩატარდა.

კ.ო. დააკავეს 2017 წლის 23 ოქტომბერს სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. იგი დაიკითხა 24 ოქტომბერს და არ აღიარა დანაშაული.

მოწმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება ბრალდებულის დაზარალებულისადმი გენდერულად განსაზღვრული, მესაკუთრული დამოკიდებულება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გამოძიების ეტაპზე დანაშაულის მოტივზე მსჯელობისას; თუმცა, გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ბრალის შესახებ დადგენილებაში მსჯელობა არ ყოფილა განვითარებული.

მტკიცებულების შესწავლის, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებიდან იკვეთება მომხდარ ფაქტამდე ბრალდებულის მხრიდან მსხვერპლის მიმართ სისტემატიურად განხორციელებული ძალადობა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები. დაკითხვისას, მოწმეები საუბრობენ, რომ ბრალდებული სისტემატურად ეჭვიანობდა მსხვერპლზე. მოწმეთა განმარტებით, ისინი ხშირად შესწრებიან ფაქტს, როდესაც ბრალდებული მსხვერპლს ამცირებდა და ლანძღავდა. 2017 წლის 23 ოქტომბერს მსხვერპლი მ.ზ. ცნეს დაზარალებულად, მასვე განუმარტეს

უფლებები, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებიდან არ ირკვევა პოზიცია – სურდა თუ არა მასალების გაცნობა.

✔ სასამართლო ეტაპზე არსებული ხარვეზები

2017 წლის 13 დეკემბერს სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მხარეებმა მტკიცებულებების ნაწილი სადავოდ გახადეს, რომელთა გამოკვლევაც არსებითი განხილვის სხდომაზე განხორციელდა. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

2018 წლის 1 თებერვლის განაჩენით სასამართლომ კ.ო. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 11[1]-115-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედების ჩადენისთვის და 2 წლით პირობითი მსჯავრი შეუფარდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ მან აღიარა დანაშაული, დამამძიმებელი გარემოება კი არ გააჩნია.

ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები არ ფიქსირდება.[71]

[71]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 25 ოქტომბრის წერილი MIA 3 18 02612468